

ISSN 0321-1509

# საქართველოს ქალი

1
1987




ჩვენ მშვიდობა გვინდა. ტ. კილაძის ფოტო.

„საქართველოს ქალი"
საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ყოველთვიური საზოგადოებრივ-პოლიტიკური და მხატვრულ-ლიტერატურული ჟურნალი.

«САКАРТВЕЛОС КАЛИ»
Ежемесячный общественно-политический и художественно-литературный журнал ЦК КП Грузии.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# წელი 1987

აიფურცლა კაცობრიობის საერთაშორისო დღიურის კიდევ ერთი გვერდი — ისტორიის კუთვნილებად იქცა დიდმნიშვნელოვანი მოვლენებით და პრობლემებით დატვირთული წელი — 1986.

შეიძლება ითქვას, რომ არ დარჩენილა ჩვენს პლანეტაზე კუთხე, რომელსაც ის მოვლენები მეტ-ნაკლებად არ შეხებოდეს, ხოლო პრობლემათა პრობლემას — ბირთვულ-რაკეტული ომების საფრთხის თავიდან აცილებას და ქვეყნად სიცოცხლის გადარჩენას მიეძღვნა: უმაღლეს დონეზე გამართული დიდ სახელმწიფოთა ხელმძღვანელების დიალოგები მოსკოვსა და ვაშინგტონში, ჟენევაში, რეიკიავიკში; შეხვედრები ინგლისში, საფრანგეთში... მსოფლიოს თვალსაჩინო კულტურის მოღვაწეთა და სხვა და სხვა პროფესიების ადამიანთა ფორუმები, დემონსტრაციები, მანიფესტაციები...

მსოფლიოს გამოჩენილ მწერლების, ხელოვნებისა და საზოგადო მოღვაწეების „ისიკ ყულის ფორუმზე“ (დევიზით: „დრო მოითხოვს ახლებურ აზროვნებას“), მიწვეულმა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ამხანაგმა მ. ს. გორბაჩოვმა განაცხადა: „არ შეიძლება ითქვას, რომ ჩვენ ვცხოვრობთ სრულყოფილ სამყაროში, მაგრამ მწამს, რომ იგი შეიძლება უფრო სრულვყოთ და ვფიქრობ, რომ ინტელექტუალური პოტენციალი, სამეცნიერო აღმოჩენები და ტექნოლოგია ყველაფერი შეიძლება ჩავაყენოთ ამ მიზნის სამსახურში. მაგრამ უპირველეს ყოვლისა ჩვენ უნდა დავიცვათ მსოფლიო ბირთვული იარაღებით მოსპობისაგან. ...რა იქნება, თუ ჩვენ ვერ შევძელით ავაცილოთ ბირთვული საფრთხე ჩვენს საერთაშორისო სახლს?“

აი, უმთავრესი საფიქრალი, რომელიც მოგვყვა ახალი, 1987 წლის კარიბჭესთან.

დიალოგი გრძელდება. მასში ერთვებიან მსოფლიოს მოსალოდნელი კატასტროფით შეშფოთებული კაცობრიობის სულ უფრო და უფრო ფართო მასები...

დრო მოითხოვს გადამჭრელ ზომებს ბირთვულ-რაკეტული საშიშროების დაუყოვნებლივ აღსაკვეთად.

დრო მოითხოვს პოლიტიკურ, სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების ახლებურად გააზრებას, მოვლენების დაჩქარებას, დიდ გარდაქმნებს...

ამ ახლებური აზროვნებისა და გარდაქმნების დაჩქარების აუცილებლობის სულისკვეთებით იყო გამსჭვალული სკკპ და საქართველოს კომუნისტური პარტიის XXVII ყრილობები, მომდევნო პლენუმები. უდიდესი მნიშვნელობის გადაწყვეტილებებზეა აგებული ჩვენი ქვეყნის კულტურისა და სახალხო მეურნეობის აღმშენებლობის XII ხუთწლედის სამოქმედო გეგმები, ჩვენი ცხოვრების დონის შემდგომი ზრდა-ამაღლების პროგრამები.

დრომ მოითხოვა და საბჭოთა საზოგადოებრიობის ყურადღების ცენტრში დადგა ადამიანის ფაქტორი — ადამიანი შემოქმედი, დიად გარდაქმნათა ავტორი, დროის მოთხოვნების შესატყვისად მოაზროვნე და მოქმედი პიროვნება.

დრომ მოითხოვა სასიკეთო გარდაქმნების დაჩქარება ჩვენი მატერიალური და სულიერი ცხოვრების ყოველ უბანზე, ყოველ რგოლში.

დრომ მოითხოვა გადამწყვეტი ბრძოლა მეშჩანური ფსიქოლოგიის, ჩამორჩენილობის, ყოველგვარი სიმახინჯის აღმოსაკვეთად ადამიანის ჩვევებსა, ყოფასა და აზროვნებაში.

გამარჯვების რწმენით, განახლებული ენერგიით, დიდი გეგმებით შევდგით ფეხი ახალ, 1987 წელში. XII ხუთწლედის ამ მეორე წელიწადს დააგვირგვინებს დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 70-ე წლისთავი და ბუნებრივია, ყოველი მშრომელისა და შემოქმედის სურვილია წარმატებებით შეხვდეს ამ დიდ თარიღს. ყოველი ჩვენგანის სურვილია ეს წელი იყოს მრავალნაყოფიერი და მაღალნაყოფიერი, რომ ჩვენს მიერ მოპოვებული ყოველი კილოგრამი ჭირნახული, მადანი, ნართი, ყოველი მეტრი ქსოვილი, ყოველი ცალი ნაწარმისა ბარაქას, სახელსა და სილამაზეს მატებდეს ჩვენს ქვეყანას; ყოველი ახალი სამეცნიერო შრომა, მწერლისა და ხელოვანის სტრიქონი, ჰანგი, ტილო გვეხმარებოდეს ადამიანების პატრიოტულ-ჰუმანურ, ესთეტიკურ-ეთიკურ აღზრდაში.

ბრძოლა ყოველი ოჯახის კეთილდღეობისა და ბედნიერებისათვის, ყოველი მოზარდის ჯანსაღ, განათლებულ ადამიანად აღზრდისათვის — ჩვენი საზოგადოებრიობის ერთობლივი საზრუნავი, დღითი დღე მეტ მნიშვნელობას იძენს და ამაღლებს ჩვენს პასუხისმგებლობას მომავლის წინაშე, დროის წინაშე!

როგორც ყოველთვის, ეს პასუხისმგებლობა ოჯახსა და პირველ რიგში მისი სიცოცხლის შემოქმედსა და აღმზრდელს — დედას ეკისრება.

ბრძოლა სიუხვისათვის, ხარისხისათვის მრეწველობასა და სოფლის მეურნეობაში, ჩვენი კეთილდღეობის შემდგომი ამაღლების უცილებელი პირობაა!

ბრძოლა ყოველი ადამიანის სრულყოფილი აღზრდისათვის ჩვენი სულიერი ცხოვრების აღმავლობის გარანტიაა!

ჩვენს წინაშე მდგარ პოლიტიკურ-სოციალურ და ეკონომიკური პრობლემების გადაწყვეტის დაჩქარება დგას დღევანდელი დღის წესრიგში.

ყველა ჩვენგანის წვლილი ამ საერთო სახალხო საზრუნავში განაპირობებს ჩვენი ეკონომიკური და სულიერი ცხოვრების დონეს, ჩვენს წინსვლასა და კეთილდღეობას, ჩვენი სახელმწიფოს ძლიერებას, მშვიდობის განმტკიცებას.

დიდ წარმატებებსა და ბედნიერებას გისურვებთ ძვირფასო დედებო, დებო, შვილებო! დაე, უხვი, კეთილი და მშვიდობიანი იყოს თქვენთვის თქვენი ოჯახებისათვის, ჩვენი საყვარელი სამშობლოსათვის ეს ახალი წელი!



ჰოი, დედანო!

სამკაულითი ვისთვისაც ოქროყდენებას საზანი,
სამკაულითი ვისთვისაც ართვეელის სამანი,
სამკაულითი ვისთვისაც თევდორესის სიკვდილი,
სამკაულითი ვისთვისაც იესოსის გვირგვინი,–
დედანო, შენ,– ის წავა,–
ქეშისა იმ ქალის ვთვალი ლიისსაც,–
დედაა თეიმურაზის სამკაულითი ვისთვისაც,
ცოლის სილამაზის სამკაულითი ვისთვისაც,–
შენოდ დადეზა რომ მისი მინდა,– მარილის სიზმრიდან.

სიყვარულის სანიძრევს გინახავშა, სიშიშ,– წავკავინეზა,
სავსე სისხლი ერთის თქვენ შიხის წარევზავნეზა.

მურმან ლებანიძე

7. XII. 86
თბილისი

ეროვნული ბიბლიოთეკა





# დღევანდელობის მოთხოვნათა მიხედვით

სკკპ XXVII ყრილობამ საქმიანად, კომუნისტური პრინციპულლობითა და პირუთვნელობით ყოველმხრივ გააანალიზა განვლილ საანგარიშო პერიოდში გაწეული მუშაობის ავ-კარგი, მიღწეულ-მოგვარებული, ჩვენი ცხოვრებისა და საქმიანობის ყველა სფეროში მოპოვებული წარმატებები. მაგრამ მან განსაკუთრებული ყურადღება დაუთმო არსებულ ნაკლოვანებებსა და ხარვეზებს, გამოკვეთა განსაკუთრებით მტკივნეული პრობლემების წრე, დასახა მათი გადაჭრის მეცნიერულად დასაბუთებული რეკომენდაციები, მდგომარეობის გაუმჯობესების, ახალი წარმატებების მოპოვების კონკრეტული გზები და საშუალებები.

ამ პრობლემათა შორის ერთ-ერთი უმთავრესია პროდუქციის და, საერთოდ, ჩვენი საქმიანობის ხარისხი. ბოლო წლების მანძილზე ქვეყნის სახალხო მეურნეობაში განსაკუთრებით ხელშესახებად გამოიკვეთა მავნე პრაქტიკა, როცა მთლიანი პროდუქციის გეგმის შესრულებას გამოდევნებული ქვეყნის მრავალი საწარმო ფაქტობრივად საწყობისთვისღა მუშაობდა, მათს უხარისხო და უკონკურენტუნარიანო ნაწარმს ნაკლებად ჰყავდა მყიდველი, რის გამოც მრავალი სახეობის პროდუქციაზე მშრომელთა მოთხოვნილება დაუკმაყოფილებელი რჩებოდა.

არადა, ასეთი ცუდი მდგომარეობა განსაკუთრებით მოუთმენელია დღეს — ჩვენი ცხოვრებისა და საქმიანობის ყველა დარგში, სფეროში, უბანზე მიმდინარე სასიკეთო ძირეული გარდაქმნების, ეკონომიკის დაჩქარებული განვითარების პირობებში. „როგორც წაგვივა საქმე ხარისხის გაუმჯობესების მხრივ, — აღნიშნა ამხანაგმა მ. ს. გორბაჩოვმა სკკპ ცენტრალურ კომიტეტში 1986 წლის 14 ნოემბერს გამართულ თათბირზე, — ისე წავა საქმე მთელ ჩვენს სახალხო მეურნეობაში".

როგორც ცნობილია, სწორედ ამ თათბირზე ითქვა, რომ წლევანდელი პირველი იანვრიდან ქვეყნის მრავალი სამრეწველო საწარმო იმუშავებს ახალი წესით — მათი შრომითი კოლექტივების ნახელავს ჩაიბარებს სახმიღება. ჩვენს რესპუბლიკაში ამგვარად იშრომებს 22 სამრეწველო საწარმო, რომელთა საქმიანობა რეგულარულად გაშუქდება „საქართველოს ქალის" ფურცლებზე რუბრიკით „პროდუქციის სახელმწიფო მიღება: ხარისხისათვის ზრუნვა".

ამ საწარმოთაგან ერთ-ერთია ფოთის ჰიდრომექანიზაციის მანქანათსაშენებელი ქარხანა. მისი კოლექტივის მიერ სწორედ ამ მხრივ დღემდე გაწეულ და მიმდინარე მუშაობაზე მოგითხრობთ ქვემომდებარე წერილში.

* * * *

კარგად არის ცნობილი ფოთელი მანქანათმშენებლების ინიციატივიანი, შემოქმედებითი შრომა, საქმისადმი პასუხისმგებლური დამოკიდებულება. მეთერთმეტე ხუთწლედში მათს თაოსნობას დევიზით „მინიმალური დანახარჯებით — პროდუქციის მაქსიმუმი" — ფართოდ გამოეხმაურა და მხარი დაუჭირა რესპუბლიკის მრავალმა შრომითმა კოლექტივმა. თვით ინიციატორებმა კი, რომლებმაც ყოველი ღონე იხმარეს ამ წამოწყების პრაქტიკული საქმეებით ხორცშესხმისათვის ყველა ძირითადი ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლის მიხედვით წარმატებით დაამთავრეს განვლილი ხუთწლედი და მეთორმეტე ხუთწლედის პირველ წელიწადს გამართული მუშაობისათვის სათანადო ბაზაც შექმნეს.

ამის შედეგად მათ საგრძნობი მიღწევები ჰქონდათ შარშანდელ წელსაც. გადაჭარბებით შესრულდა მთლიანი პროდუქციის წარმოებისა და რეალიზაციის, სახელმწიფო ხარისხისნიშნიანი ნაწარმის გამოშვების, მოგების გეგმები. შრომის ნაყოფიერების ზრდამ შეადგინა 110 პროცენტი, რაც ხუთწლედის გეგმით გათვალისწინებული საშუალო წლიური ზრდის ტემპზე 3,4 პუნქტით მეტია. პროდუქციის მთელი მატება სწორედ შრომის ნაყოფიერების ზრდით არის მიღებული. საგრძნობლად შემცირდა ნაწარმის თვითღირებულება, გაიზარდა მშრომელთა საშუალო თვიური გამომუშავება.

ყოველივე ამან საწარმოს საშუალება მისცა სათანადოდ მომზადებულიყო პროდუქციის სახელმწიფო მიღებისათვის. ამ მხრივ მუშაობა დაიწყო შარშან, ივნისში როდესაც ქარხნის ხელმძღვანელობამ შეიმუშავა შესაბამისი ორგანიზაციულ-ტექნიკური ღონისძიებების გეგმა. საამისოდ შექმნილი იყო მუშა ჯგუფი ქარხნის მთავარი ინჟინრის ხელმძღვანელობით (მსგავსი ჯგუფები მოქმედებდნენ ყველა საამქროსა და უბანში). ბევრი რამ გაკეთდა ტექნიკური დოკუმენტაციების შემოწმება-ხელახლა დამტკიცების, საკონტროლო-საზომი ხელსაწყოებითა და ინსტრუმენტებით სამუშაო ადგილების აღჭურვის, მოწყობილობათა საგეგმო-გამაფრთხილებელი სარემონტო სამუშაოების საქარხნო გრაფიკის მტკიცედ დაცვისათვის. ტექნიკური კონტროლის სამსახურის ავტორიტეტის შემდგომი ამაღლების მიზნით ქარხანაში დაწესდა ხარისხის დარგში დირექტორის მოადგილის თანამდებობა. განახლდა და კვალიფიციური სპეციალისტებით დაკომპლექტდა ტექნიკური კონტროლის განყოფილება.

— პროდუქციის სახელმწიფო მიღებისათვის მოსამზადებლად ქარხანაში მიმდინარე სამუშაოები, — გვითხრა პარტიის ფოთის

საქალაქო კომიტეტის მეორე მდივანმა ლეილა კაკულიამ, — ჩვენი სისტემატური ყურადღების ცენტრში იყო. შარშან 18 ოქტომბერს ეს საკითხი განიხილა ტერიტორიულ-დარგთაშორისმა გაერთიანებამ. 18 ნოემბერს კი ამ მხრივ საწარმოს მზადყოფნის შესახებ იმსჯელა პარტიის საქალაქო კომიტეტის ბიურომ. დადებითთან ერთად აღინიშნა ნაკლოვანებებიც. კერძოდ, ითქვა, რომ დეფიციტებია ქარხნის მეტროლოგიურ სამსახურში, დასაჩქარებელია ფართო მოხმარების საგნების საკონტროლო ეტალონების დამზადება, გასაუმჯობესებელია მათი გალვანური დაფარვის ტექნოლოგიური პროცესი, მუშაობა უნდა გაააქტიუროს პარტბიურომ და სხვ. მას შემდეგ მდგომარეობა საგრძნობლად შეიცვალა. მაგრამ პარტიის საქალაქო კომიტეტი კვლავაც არ მოაკლებს ყურადღებას და იზრუნებს იმისათვის, რომ ქარხანაში პროდუქციის სახელმწიფო მიღება შეუფერხებლად წარმოებდეს.

— ქარხნის მუშები და ინჟინერ-ტექნიკური პერსონალის წარმომადგენლები, — გვითხრა საწარმოს დირექტორმა კ. ჩიქოვანმა, — კარგად გრძნობენ, თუ რაოდენ განუზომლად ზრდის თითოეული მათგანის პასუხისმგებლობას პროდუქციის სახელმწიფო მიღების დაწყება. როგორც ამხანაგმა მიხეილ სერგის ძე გორბაჩოვმა სკკპ ცენტრალურ კომიტეტში გამართულ თათბირზე აღნიშნა, ეს უმნიშვნელოვანესი აქცია ისე, როგორმე ვერ ჩაივლის, და რომ ეს ღონისძიება — პროდუქციის სახელმწიფო მიღება — უდიდესი ღონისძიებაა.

ამიტომაც მოსამზადებელ პერიოდში ფართო ახსნა-განმარტებითი მუშაობით ვცდილობდით ისე აგვეწყო საქმე, რომ ყოველ მშრომელს სრულად შეეგრძნო ამ სერიოზული ღონისძიების მნიშვნელობა, მოეძებნა თავისი ადგილი მისი განხორციელებისათვის ბრძოლაში. ამ საკითხებს მიეძღვნა საამქროთა პარტიული, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების კრებები.

პროდუქციის სახელმწიფო მიღება ახალი დაწყებულია და ამდენად, ცხადია, მის მეტნაკლებად გამოკვეთილ შედეგებზე ჯერჯერობით ლაპარაკიც ზედმეტია. მაგრამ იმის თქმა კი შეიძლება, რომ ქარხნის კარგი ტექნიკურ-ეკონომიკური მდგომარეობის მეოხებით განსაკუთრებული სიძნელეების გარეშე შევძელით გადასვლა მუშაობის ახალ წესზე. თუმცა ნაკლოვანებები და ხელშემშლელი მიზეზებიც გვაქვს. უპირველეს ყოვლისა, ეს არის ზოგიერთი სახეობის ნედლეულითა და მასალით ურიტმო მომარაგება და ტექნოლოგიური და საკონსტრუქტორო სამსახურების მაღალკვალიფიციური კადრებით სრული დაკომპლექტება. საბედნიეროდ, დადებითი ცვლილებები ამ მხრივაც უკვე არის, რაც გვაძლევს საშუალებას ვთქვათ, რომ მუშაობის შემდგომი გააქტიურებით, პასუხისმგებლობის ამაღლებით, გარჯის პროგრესული ფორმებისა და მეთოდების დანერგვით ქარხნის კოლექტივი შეძლებს ღირსეულად გაართვას თავი დაკისრებულ საპატიო მოვალეობას.

რ. ჩარკვიანი



# ვინც შარშან გვასახელა



## მაყვალა ქასრაშვილი

საბჭოთა კავშირის დიდი თეატრის სოლისტის მაყვალა ქასრაშვილის ხელოვნება ფართოდ არის ცნობილი ჩვენს ქვეყანაში და მის ფარგლებს გარეთაც.

იგი აქტიურად მონაწილეობს ქართულ მუსიკალურ ცხოვრებაში.

1986 წელს მაყვალა ქასრაშვილისა და ზურაბ სოტკილავას ინიციატივით მოეწყო საოპერო ხელოვნების პირველი ფესტივალი ქალაქ ქუთაისში.

სახელმწიფო აკადემიური დიდი თეატრის სოლისტს მაყვალა ქასრაშვილს ხშირად იწვევენ მსოფლიოს საუკეთესო თეატრები.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით 1986 წელს მაყვალა ქასრაშვილს სსრ კავშირის სახალხო არტისტის საპატიო წოდება მიენიჭა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ვინც შარშან გვასახელა



## ნინო ანანიაშვილი

ამერიკაში, მისისიპის შტატის ქ. ჯექსონში გამართულ საერთაშორისო საბალეტო კონკურსში 36 ქვეყნის 90 მოცეკვავე, ბალეტის სახელგანთქმული ოსტატები, საერთაშორისო კონკურსების ლაურეატები მონაწილეობდნენ.

ამ კონკურსის „გრან-პრი" პირველად გაიცა 1986 წელს.

ნინო ანანიაშვილის ხელოვნებამ მოხიბლა ბალეტის მოყვარულები — ნიჭიერმა ქართველმა მოცეკვავემ, საერთაშორისო კონკურსების ლაურეატმა, სსრ კავშირის დიდი თეატრის სოლისტმა საერთაშორისო საბალეტო კონკურსზე „გრან-პრი" დაიმსახურა.

დიდი თეატრის სახელგანთქმულ სცენაზე ნინოს გამოჩენა „ხის უფლისწულში", „რაიმონდაში", „დონ კიხოტში", „გედის ტბაში", „ჟიზელში" მაყურებლის დღესასწაულია.

ნინო ანანიაშვილს, ნიჭიერ ქართველ მოცეკვავეს 1986 წელს რუსეთის სფსრ დამსახურებული არტისტისა და საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტის საპატიო წოდებები მიენიჭა.



## ქეთევან ქარჩაიძე

სახელი გაითქვა სართიჭალის მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობა-კომპლექსის მწველავმა ქეთევან ქარჩაიძემ. იგი ყოველთვის იმარჯვებდა სოციალისტურ შეჯიბრებაში და გახდა კომუნისტური შრომის დამკვრელი, ჯილდოდ მიიღო ლენინის, ოქტომბრის რევოლუციის, „საპატიო ნიშნის" ორდენები, იური გაგარინის პრიზი, რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის დამსახურებული მუშაკის წოდება. იგი ყოველწლიურად ოთხი ათას კილოგრამზე მეტ რძეს წველის.

სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებით შრომაში მოპოვებული თვალსაჩინო მიღწევებისათვის გარდაბნის რაიონის სართიჭალის მეცხოველეობის მეურნეობა-კომპლექსის მწველავს ქეთევან ბაგრატის ასულ ქარჩაიძეს 1986 წლის სსრ კავშირის სახელმწიფო პრემია მიენიჭა.

# ვინც შარშან გვასახელა

## ნათელა სვანიძე



სახალისო გაკვეთილები შეიძლება ვუწოდოთ თბილისის პირველი საშუალო სკოლის დაწყებითი კლასის მასწავლებლის ნათელა სვანიძის მიერ ჩატარებულ მეცადინეობებს. მას ღელვით ხვდებიან პირველკლასელები სკოლაში მოსვლის პირველ დღეს, და ასეთივე ღელვით ტოვებენ სამი წლის შემდეგ — მაგრამ უკვე დაფრთიანებულები, ცოდნით შეიარაღებულნი, სასკოლო ცხოვრების ფერხულში მტკიცედ ფეხჩადგმულნი. თითქმის ყველა საგანი მათ ნათელა მასწავლებელმა შეასწავლა. მაგრამ ისე, რომ მოწაფეები თანაბრად ძლიერები გახადა. გაკვეთილების შემდეგ შესვენებას რომ მოაწყობდა, ნათელა სვანიძე კლასს დამატებით მეცადინეობებს უტარებდა. განსაკუთრებით უყვართ ბავშვებს მშობლიური ლიტერატურა, რომლის გაკვეთილებიც ლამაზად დადგმული სპექტაკლია, სადაც ბავშვები ერთმანეთს ეჯიბრებიან მასალის ღრმა ცოდნაში, გარეშე ლიტერატურის მოშველიებაში, საკუთარი აზრის გადმოცემაში.

ამიტომაც, სრულიად სამართლიანად გაიმარჯვა ნათელა სვანიძემ თბილისის პედაგოგთა შორის და გახდა 1986 წლის საუკეთესო მასწავლებელი.




## ქეთევან კახიანი

ოსტატობის კანდიდატი ქეთევან კახიანი მონაწილეობდა არგენტინის ქალაქ რიოგალიეგოსში გამართულ მოჭადრაკე გოგონათა მსოფლიო ჩემპიონატში.

ქართველმა მოსწავლემ ამ ძნელ შეჯიბრებაში პირველი-მეორე ადგილები გაიყო ბულგარელი კატრინ არაბაჯევასთან. ვინაიდან კოეფიციენტების ცხრილში ბულგარელ მოჭადრაკეს უკეთესი მონაცემები აღმოაჩნდა, მსოფლიო ჩემპიონის წოდება მას მიენიჭა. ქეთევან კახიანს ვერცხლის მედალი ხვდა წილად.

1986 წელი ღირსახსოვარი იყო ნორჩი ქართველი მოჭადრაკისათვის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## სხვისი შვილი — მისი შვილი

# შეიძლება დედა დაგიძახო?!

რეპორტაჟი წყნეთის საბავშვო სახლიდან



ვ. გენგიურის ფოტო

აქ ყოველ სტუმარს დაძაბული მზერით ხვდებიან პატარები. შეხვალ და უმალ მათი გაფართოებული თვალები შემოგეფეთება: — იქნებ ჩემი დედაა? — ჰგონია ყველას და უცებ პატარები ერთმანეთს ეცილებიან დაწინაურებაში, შემოგეხვევიან და გეტიტინებიან: „ამიკანე ლა... წამიკანე ლა...“ ერთ-ერთი უნდობლად გეკითხება: — შენ ჩემი დედიკო ხარ? „არა, ჩემია“... „არა ჩემია “— შენს დასაკუთრებას ლამობს ყველა და სანამ დაბნეული და ნირწამხდარი შესაფერის პასუხს მოიფიქრებ, ზურგს შეგაქცევენ მოწყენილნი და ბედსშერიგებულნი. ზოგი კანფეტს მოგთხოვს და ჯილდიდ კოცნით გაგიმასპინძლდება, ზოგი მღერის, ცეკვავს, იქნებ მოვეწონო და თან წამიყვანოსო, ყველაზე თამამი კი შემოგეხვევა და გეტყვის: შეიძლება, დედა დაგიძახო?

ალბათ მიხვდით, ბავშვთა სახლზე გიამბობთ, იმ სახლზე, რომლის შესახებ უკვე მთელმა რესპუბლიკამ იცის და რომელიც რესპუბლიკის მთავრობის გადაწყვეტილებით, საცხოვრებელი პირობების გასაუმჯობესებლად კოჯრიდან წყნეთში გადმოიყვანეს, სადაც მათთვის რამდენიმე ორსართულიანი კოტეჯი გამოიყო. ახალგაზრდა დირექტორმა თამარ ფარჩუკიძემ გაბედულად იტვირთა უდიდესი პასუხისმგებლობის მთელი სიმძიმე. მას მხარში უდგანან გულისხმიერი, კეთილი ადამიანები, რომლებიც კარგად გრძნობენ, რომ ბავშვთა სახლში მუშაობა არ ნიშნავს ჩვეულებრივ სამსახურს, სადაც შეგიძლია მხოლოდ ექვს საათამდე იყო და მერე დამშვიდებული სინდისით დაუბრუნდე ოჯახს. ამ სახლში ბავშვების სიყვარულით პირთამდე სავსე გული უნდა მიიტანო, ყველა დაბრკოლებას უნდა გაუძლო, ყველას ჭირვეულობა უნდა აიტანო, თუნდაც ძვირად დაგიჯდეს. ეს ხომ თითქმის მსხვერპლის გაღებას უტოლდება! მაგრამ, აქ თუ მოდიხარ სამუშაოდ, ეს ყველაფერი, მთელი სიგრძე-სიგანით უნდა გქონდეს შეგნებული. ბავშვები — ეს გულუბრყვილო, უმწეო არსებანი, საკმაოდ მკაცრი მსაჯულნი არიან. ისინი როგორღაც ქვეშეცნეულად ცნობენ ალალ, მოსიყვარულე გულს, კარგ ადამიანს. ამიტომ ყველას როდი აჯილდოებენ სიყვარულით. ამას დამსახურება უნდა. აი, სწორედ ასეთი ადამიანები შემოიკრიბა გარს ამ კეთილი სახლის ახალგაზრდა დიასახლისმა: ელისო მამუკაშვილი, ციცო გოგოლაძე, ანა სულაძე, ნინო დემურიშვილი, ნუნუ ტარუღიშვილი, ლუბა მათიაშვილი, ნანა შახულოვა, თამარ ბზიკაძე, ლია მიგრიაული, ტანია ბზიკაძე. ბაბედნიეროდ, ისინი ბევრნი არიან, ყველას ვერც კი ჩამოთვლი. დირექტორს მხარში უდგანან შეფები — საშენ მასალათა სამინისტროს მრავალრიცხოვანი კოლექტივი ნოდარ ვაშაძის ხელმძღვანელობით, უნივერსიტეტის, პუშკინის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის, სამედიცინო ინსტიტუტის, თბილისის მეორე სამედიცინო სასწავლებლის სტუდენტები, რომელნიც არა მარტო მორიგეობენ, არამედ ეხმარებიან კიდეც ძიძებს და აღმზრდელებს, მედიკამენტებით ამარაგებენ მედპუნქტს. განსაკუთრებულია წყნეთის მთელი მოსახლეობის უანგარო წვლილიც. ასე რომ, ბავშვების ბედით დაინტერესებულია სრულიად საქართველო.

ეროვნული ბიბლიოთეკა



დირექტორი თამარ ფარჩუკიძე



„თამრიკო დედას“ შვილები

თვალს ახარებს ფართო, ხეხილიანი ეზო. ლამაზი, ნათელი კოტეჯები, მრავალგვარი სათამაშო, მხიარული ნახატები, რომლებიც სამხატვრო აკადემიის სტუდენტებს მიუძღვნიათ ნორჩებისათვის; უთუოდ მოგეწონებათ გემოვნებით გაფორმებული ინტერიერი, ფერწერული ტილოები, რომლებიც პუშკინელთა საჩუქარია.

დირექტორი ძლივს მოვიხელთე სასაუბროდ, იგი მუდამ ბავშვებთან ტრიალებს ან კვების ბლოკს ამოწმებს. ცდილობს ყველა საქმის კურსში იყოს. დირექტორის ოთახში გამუდმებით წკრიალებს ტელეფონის ზარი. ყურადღებას არ აკლებენ ამ წმინდა სახლს. თამრიკო ზოგს თხოვნით, ზოგს მადლობით ეპასუხება, რას იზამ, ახლახან იზეიმეს ახალმოსახლეობა და ჯერ კიდევ ბევრი სიძნელე და პრობლემაა გადასაჭრელი. ამ დროს კარგია, როცა მხარდაჭერას გრძნობ...

— ჩვენი შეფები შეგვპირდნენ, ბავშვები რომ აქეთ-იქით არ გაიფანტონ, მომავალში სკოლის აშენებაში დაგეხმარებითო.

— მაინც ძნელია არა მუშაობა?

— პირველად ძალიან გამიჭირდა, მაგრამ მხარდაჭერა და პატარების სიყვარული ყველაფერს აგატანინებს. მადლობის მეტი რა მეთქმის ჩემი ბავშვების სახელით.

თამარ ფარჩუკიძე, რომელმაც ახლახან შექმნა საკუთარი ოჯახი, უკვე მრავალი შვილის დედაა, აკი ხუმრობენ კიდეც, ელგუჯა გიორგაძემ მრავალშვილიანი დედა შეირთო ცოლადო. ახალგაზრდა ცოლ-ქმარი დღე და ღამე არ შორდება ბავშვთა სახლს და ძალიანაც გაიწაფნენ პატარების მოვლაში.

— თამრიკო, მთელი შენი დრო ბავშვებს მიაქვთ, მეუღლე ხომ არ გებუზღუნება?

— არა, მან იცის, რომ სხვაგვარად არ შემიძლია. ის კი არადა, თავადაც ისე მიეჩვია ამ პატარებს, რომ არც მას ძალუძს სხვაგვარად. უბრალო, მაგრამ გულწრფელია დირექტორის პასუხი.

— ძილის წინ ერთხელ მაინც რომ არ დავხედო, ვერ ვითმენ. ასე მგონია, რომელიღაც ტირის ან საბანი გადაიხადა და გაცივდა. პირველად იცი როდის ვიტირე? დედა რომ დამიძახეს. ახლა ყველა თითქმის დედას მეძახის და მიხარია, ვამაყობ, ხუმრობა ხომ არ არის ორმოცდაათზე მეტი შვილი!

რომ იცოდეთ, როგორ ელიან დედას — დაურეკე რა ჩემს დედიკოს, მისწერე რა ჩამოვიდესო. ძილის წინ მთხოვენ, დედიკომ დამაძინოსო. ზოგი კი საიდუმლოსავით მიმხელს, სიზმარი ვნახე, ჩემი დედა მოვაო. სიცხიანი ბავშვი რომ ტირის და დედას ითხოვს, მეც მასთან ერთად ვტირი. მაშინ დიდი სურვილი მაქვს ისინი ღირსეულ მოქალაქეებზე გავაშვილო, მაგრამ მათ ჰყავთ დედები; ზოგი მათგანი ხელმოკლედ ცხოვრობს, ზოგი ავადმყოფია, ზოგი არ ჩანს, და... ჩვენც ვიცდით... ამ ოთხ თვეში 138 „დედა“ გავისტუმრეთ უარით.

ეზოში განცალკევებით დგას პატარა სახლი. მას „სათამაშო სახლს“ უწოდებენ.

— იმ სახლში დაბადების დღეს გადავუხდით ხოლმე პაწიებს, — თან ბავშვებს ადევნებს თვალყურს; რაიმე არ იტკინონ, არ დაეცნენ, არ იჩხუბონ.

— არ გეგონოთ თითქოს ძიძებს არ ვენდობოდე, მაგრამ გული არ მითმენს, — მიბოდიშებს თამარი და თან ყველას სახელებით ეხმაურება.

— დათო, არ ჩამოვარდე! ნოდარ, ნუ ეჩხუბები მზიას; ნინო, დაეცემი და... ამ დროს ფოთლების თაიგულს აწვდის „თამრიკო დედას“ პატარა ბიჭუნა და უხმოდ ეხუტება.

ვასიკო, ვასიკო, აბა ლექსი სთქვი, — ალერსით ეუბნება თამარი. ვასიკოც ხმამაღლა, წკრიალა ხმით ამბობს: „მეკითხებიან, ვისი შვილი ხარ? — ყველა ოჯახის ვარ ანგელოზი. გაინტერესებთ, ვისი შვილი ვარ? ჩემი ლამაზი საქართველოსი“.

...დიდხანს, დიდხანს რეკს ყურებში ვასიკოს ბავშვური ხმა. მომაცილებს მისი ნათელი მზერა და მაგონდება თამარ ფარჩუკიძის ნათქვამი:

— ჩემი სურვილია, ყველა ბავშვთა სახლს ჰქონდეს ასეთი ყურადღება, ხოლო უფრო დიდი და სანუკვარი სურვილია, საერთოდ არ იყოს საჭირო ასეთი სახლების არსებობა, რომ ბავშვებმა მუდარითა და ნატვრით არავის სთხოვონ:

— შეიძლება, დედა დაგიძახო?

**ირინე კუკავა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ახალი ლექსები



მორის ფოცხიშვილი

## ხმაური

ხმის გამაძლიერებელ მიკროფონებს
არ საჭიროებენ ჩიტები.

ხვლიკები ხვლიკებს
აგონებენ სათქმელს უბრალოდ.
დედები შვილებს
უმიკროფონოდ უმღერენ ნანას.

თევზები თევზებს უგდებენ ყურს
და ჩემს ღმერთს ჩემი მშვენივრად
ესმის.
მარტოდენ შენ ვერ გაგაგონე
ხმა ამ გულისა.

## „პოლკა"

ქარი წუწუნით ჩადგა
და ცა იჭრება დანით, —
მე თქვენზე ვფიქრობ, რადგან
თქვენ ჩემზე ფიქრობთ, პანი.

მხიბლავს, მატყვევებს, მიპყრობს
თქვენი ცქრიალა ტანი, —
ჩქარა ცოლადაც გითხოვთ,
თქვენ თუ დამთანხმდით, პანი.

მზეს თეთრ კაბაში ვლანდავ,
რა ვქნა, ღვთაებად გცანით, —
მე თქვენ მიყვარხართ, რადგან
ვგრძნობ, თქვენც გიყვარვართ, პანი!

## შემოდგომა

გუშინ მთელი დღე წვიმდა,
დღესაც მთელი დღე წვიმს, —
ვამბობ: „სიკვდილი მინდა!"
გესმის ჩემი და გწყინს.

გუშინ მთელი დღე წვიმდა,
დღესაც მთელი დღე წვიმს,
მგონი შემნიშნეს ციდან,
გესმის, მეძახის ის...

ზიხარ საწოლთან მშვიდად,
დინჯად მიკითხავ წიგნს, —
გუშინ მთელი დღე წვიმდა,
დღესაც მთელი დღე წვიმს.

## წერილი

შენს სარკმელთან ეს წერილი
თეთრ თოლიად დაფრინდა, —
პერანგი მაქვს შეკერილი
შენი შუქის აფრიდან.

ვწერ, ჩემსავით ვერ შეგმოსავს
ვერც მზე, ვერც ეს მთაწმინდა,
ანგელოსი მე შენს მგოსანს
ფრთას კალმისტრად მაწვდიდა.

შუაგზაზე დამიღამდა,
დრო გამექცა სისხარტით, —
მიყვარდი თუ არ მიყვარდი?
მე მგონია, მიყვარდი.

## სასურველი მარტოობა

მარტო ვარ და
ვრჩები მარტო,
მარტო რომ ვარ,
შენა გნატრობ.

## ხვალიდან ალბათ

წვიმაზე უფრო ნაზ მგალობელს
და ქარზე უფრო სპეტაკ მომღერალს
მე ვერ ვიპოვი.

მიწაზე უფრო მშვიდ ხელოვანს,
ზეცაზე უფრო დიდ შემომქმედს
მე ვერ ვიპოვი.

გული აღარავის არ ენდობა,
ჩემს ძაღლზე უფრო ნაღდ მეგობარს
მე ვერ ვიპოვი.

ბალახზე უფრო რბილ სასთუმალს,
მეორე კოლხურ „სისატურას"
მე ვერ ვიპოვი.

არმაზისთანა მოზარეს და
თბილისისთანა დამტირებელს
მე ვერ ვიპოვი.

შენთან შეხვედრის მოლოდინის
წუთზე უნაზესს და უნეტარესს
მე ვერ ვიპოვი.

* * *

ღვინო ავიკრძალე, მაგრამ
ფეხი მაინც მერევა, —
უღვინოდაც მათრობს რადგან
შენი მშვენიერება!
სიტყვა არ მეშლება, მაგრამ
ლექსი მაინც მერევა,
ერთმა შეიწირე, რადგან
მთელი ჩემმიერება.
ლამის არი, გადამრიონ
მთებმა, ზვრებმა, სერებმა, —
იცის ღმერთმა, მაინც შენ ხარ
ჩემი ბედნიერება!

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ႭႰႢႦႨႱ ႩႤႫႮႨႭႬႨ



მაია ჩიბურდანიძეს რამდენიმე სატურნირო გამოსვლასთან ერთად შარშან ორი მეტად სერიოზული მატჩის გამართვაც მოუხდა. ერთი, ასე ვთქვათ, ორდინარული, თავიდანვე დაგეგმილი იყო. ეს გახლდათ დიდი ორთაბრძოლა მსოფლიოს პირველობაზე, რომელიც არსებული წესების თანახმად საჭადრაკო გვირგვინის მფლობელმა ყოველ ორ წელიწადში ერთხელ უნდა გადაიხადოს. მეორე მატჩი უჩვეულო იყო — მაიას შერკინება იუგოსლავიის ერთერთ უძლიერეს დიდოსტატ პეტარ პოპოვიჩთან. საჭადრაკო სამყარო მაინცადამაინც განებივრებული არ არის ასეთი ორიგინალური პაექრობებით, როცა დიდოსტატი ქალი დიდოსტატ ვაჟს ხვდება.

მატჩმა სუბოტიცაში (იუგოსლავია) პეტარ პოპოვიჩთან ნათლად აჩვენა, რომ მაია ჩიბურდანიძის დიდმა ტალანტმა თავისი გაფურჩქვნის პერიოდს მიაღწია. ანგარიში 4:4 ერთნაირად საპატიო იყო როგორც მსოფლიო ჩემპიონისათვის, ისე იუგოსლავიის ვაჟთა ნაკრების წევრისთვისაც.

და აი, დადგა სექტემბერი. ახლა მაია მსოფლიო ჩემპიონობის ახალ პრეტენდენტს, დიდად შეუპოვარ და ერუდირებულ ელენე ახმილოვსკაიას უნდა შეხვედროდა. საერთაშორისო საჭადრაკო ფედერაციის მიერ შემოღებული ახალი წესების თანახმად, მატჩები მსოფლიო პირველობაზე როგორც ვაჟთა, ისე ქალთა შორისაც ამიერიდან ერთში კი არა, ორ ქვეყანაში იმართება. ეს წინ გადადგმული ნაბიჯი ხელს უწყობს ჭადრაკის პოპულარიზაციას. სულ ახალ-ახალ ქვეყნებში. გადაწყდა: ჩიბურდანიძე და ახმილოვსკაია თამაშს ჯერ ბულგარეთში დაიწყებდნენ, მატჩის მეორე ნახევარს კი ბორჯომში დაასრულებდნენ.

ბულგარეთის საჭადრაკო ფედერაციას დიდი ღონისძიებების ჩატარების გამოცდილება არა აქვს, მაგრამ ქალთა ორთაბრძოლას ბრწყინვალედ გაართვა თავი. ამაში მატჩზე მყოფი ქართველი ტურისტების დიდი ჯგუფიც დარწმუნდა. შეჯიბრება მიმდინარეობდა სოფიის ლუდმილა ჟივკოვას სახელობის კულტურის სასახლეში, რომელსაც ათზე მეტი დიდი დარბაზი აქვს. ისე რომ, მაყურებლების მიღების პრობლემა სოფიაში არ არსებობდა. არ დარჩენილა ბულგარეთის დედაქალაქის არცერთი გაზეთი, მატჩის მსვლელობა დაწვრილებით რომ არ გაეშუქებინოს.

სოფიის მატჩის ანგარიში იყო 6:2 მსოფლიო ჩემპიონის სასარგებლოდ. რამ განაპირობა მაიას ასეთი უპირატესობა?! რა თქმა უნდა, იგი უფრო საფუძვლიანად მოემზადა ესოდენ ძნელი და ხანგრძლივი შეჯიბრებისათვის, აქ, ცხადია, თავისი სიტყვა თქვეს ჩემპიონის სეკუნდანტებმა — დიდოსტატმა გენადი კუზმინმა (ვოროშილოვგრადი) და იგორ პოლოვოდინმა (ლენინგრადი). მათ დიდი მახვილგონიერება გამოავლინეს, წინასწარ აუღეს ალღო, რა დებიუტებს მიმართავდა პრეტენდენტი და სავსებით გაანეიტრალეს მისი იარაღი. მაიას სეკუნდანტების შეპირისპირება ახმილოვსკაიას თანაშემწეებთან — საერთაშორისო ოსტატ იური ანიკაევსა (მოსკოვის ოლქი) და ალბერტ კაპენგუტთან (მინსკი), შეიძლება ითქვას პირველთა გამარჯვებით დასრულდა. მაიას სეკუნდანტების დიდ მიგნებად მიგვაჩნია მატჩისათვის სპეციალურად ორი დებიუტის მომზადება, რომლებიც მანამდე ჩემპიონის რეპერტუარში არ გვხვდებოდა და ამდენად, მათ პრეტენდენტი წინასწარ დეტალურად ვერ გაეცნობოდა. ერთი მათგანი გახლავთ კატალონური დასაწყისი, ლაზიერის გამბიტისა და რეტის დებიუტის თავისებური ჰიბრიდი. კატალონური დასაწყისი, თუ შავები კარგად არიან მომზადებული, შეიძლება მათ დიდ სიძნელეებს არ უქმნის, მაგრამ საკმარისია აქ რამდენადმე შეფერხება, როგორც იტყვიან ტემპის დაკარგვა, რომ ძალიან სწრაფად უნუგეშო პოზიცია მიიღო. ასე მოუვიდა ახმილოვსკაიასაც. უკვე პირველ პარტიაში იგი შეეცადა კატალონური დასაწყისის წინააღმდეგ „ძალისმიერი ილეთით" ემოქმედა, პაიკებით შეტევა წამოეწყო, რაც სრულიად უადგილო იყო და პირველი მარცხი იწვნია. საერთოდ, უნდა ვიფიქროთ, რომ პრეტენდენტი ჩემპიონისგან მოელოდა შეტევას, აქტივობას, მწვავედ თამაშს, რაც, საერთოდ დიდად არის დამახასიათებელი ჩიბურდანიძისათვის. მაიამ ღრმა ფსიქოლოგიური ალღო გამოიჩინა, აიძულა ბიჭვინთელი დიდოსტატი შეტევა წამოეწყო (ეს არ გახლავთ ახმილოვსკაიას თამაშის ძლიერი მხარე) და ძლიერი კონტრიერიშით ქულას ქულაზე აგროვებდა. უჩვეულო სიტუაციაში პრეტენდენტმა წონასწორობა დაკარგა. ის დიდი სადებიუტო მომზადება, რომელიც ჰქონდა, ფაქტიურად ფუჭად დარჩა. დიდი სიურპრიზი იყო ჩიბურდანიძის მხრივ შავებით გრიუნფელდის გამოყენება. ჩემპიონის ადრინდელ სადებიუტო რეპერტუარში ვერც ამ დასაწყისს ვხვდებოდით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერთი სიტყვით, მატჩის პირველ ნახევარში მაია მეტოქეს ყველა სფეროში სჯობდა. პრეტენდენტმა მართლაც აღარ იცოდა, რა ექნა. თუ დასაწყისში სიურპრიზს გადაურჩებოდა, შუა თამაშში დიდ უსიამოვნებას აწყდებოდა, თუ შუა თამაშსაც თავს დააღწევდა, ენდშპილში მაინც ველარ გადარჩებოდა. ბრძოლა მთლიანად ჩიბურდანიძის „სცენარით“ მიმდინარეობდა. მაიას წინა მატჩებში, ვთქვათ ნანა ალექსანდრიასთან ან ირინე ლევიტინასთან სხვა სურათი იყო. ორივე შემთხვევაში პრეტენდენტებმა მეტი ალღო და ფხა გამოავლინეს. ამიტომაც წინა მატჩები გაცილებით უფრო მძაფრი გამოდგა.

მცირე შესვენების შემდეგ ბრძოლა ბორჯომში განახლდა. როცა ოთხქულიანი უპირატესობა გაქვს, არ შეიძლება, ერთგვარად მაინც, თუნდაც დროებით შინაგანად არ „განიარაღდე“. დასაწყისში ბორჯომში მაიაც, ცოტა არ იყოს, დამშვიდდა, მეცხრე პარტიაში პრეტენდენტმა, რომელსაც დასაკარგი უკვე აღარაფერი ჰქონდა, ბოლოს და ბოლოს, იზეიმა პირველი გამარჯვება, ასე ვთქვათ, ნავსი გატეხა, მაგრამ ცხადია, მატჩის გადარჩენა უკვე აღარ შეიძლებოდა. ნათელი იყო, რომ მაიას სულ ნახევარნახევარი ნაბიჯით, ყაიმებით რომ ევლო, მიზანს მაინც მალე მიაღწევდა. ასეც მოხდა.

ერთი სიტყვით, გადაიშალა საჭადრაკო ისტორიის კიდევ ერთი ფურცელი. მაია უკვე მსოფლიოს ოთხგზის ჩემპიონი გახდა. მისი ტრიუმფული გზა გრძელდება. რა თქმა უნდა, ჩიბურდანიძის გამარჯვება წინასწარაც მოსალოდნელი იყო. შემთხვევით როდი თქვა მსოფლიო ჩემპიონმა გარი კასპაროვმა, „ბორჯომში ერთმანეთს არათანაბარი ძალის მოჭადრაკეები ხვდებიანო“. ახლა მაია ისე თამაშობს, რომ მის სტილს ძალზე ძნელია „გასაღები მოარგო“. ჩემპიონის სადებიუტო ერუდიცია საუცხოოა, თუ ბრძოლა გამწვავდა, კომბინაციურ გართულებებში მაია აუცილებლად აჯობებს მეტოქეს! თუ თამაში წყნარად მიმდინარეობს, ჩიბურდანიძე მისი პოზიციური ნიჭის წყალობით, აქაც მოიპოვებს უპირატესობას. ერთი სიტყვით, დღეისათვის ჩიბურდანიძის წინააღმდეგ „რეცეპტი“ არ არსებობს.

„ძალა აღმართსა ხნავსო“, ნათქვამია. ელენე ახმილოვსკაია ღირსეულად იბრძოდა, ცალკეულ პარტიებში გვიჩვენა კარგი მომზადება, დიდი შეუპოვრობა, ჩინებული ტექნიკა — ყოველივე ის, რაც მას ახასიათებს. ძნელია ახმილოვსკაიას რაიმეში გამოედავო. მან გააკეთა ყველაფერი, რაც შეეძლო. ელენე ახმილოვსკაია კვლავ რჩება მსოფლიოს ერთ-ერთ უძლიერეს მოჭადრაკედ.

შემდეგი? ვინ იქნება შემდეგი? მაიამ ხომ ორი წლის შემდეგ უნდა დაიცვას თავისი წოდება. ელენე ახმილოვსკაია და ნანა ალექსანდრია, რომლებიც დიდი წარმატებით თამაშობდნენ მსოფლიო პირველობის წინა შესარჩევ ციკლში, პირდაპირ პრეტენდენტთა მატჩ-ტურნირში არიან მიწვეულნი. ეს, ცხადია, მათთვის დიდი შეღავათია. გარკვეული პრივილეგია აქვს მსოფლიოს ექს-ჩემპიონს ნონა გაფრინდაშვილს, რომელიც ახალ ციკლს საზონათშორისო ტურნირიდან დაიწყებს. რა თქმა უნდა, სრულიადაც არ არის გამორიცხული ახალ ციკლში ახალგაზრდა ნიჭიერი დიდოსტატების დაწინაურება. 1988 წლამდე ჯერ კიდევ დიდი დროა და ბევრი ბრძოლისა და საინტერესო პერიპეტიების მოწმენი ვიქნებით.

ახლა მაია ჩიბურდანიძემ, რომელმაც ღირსეულად დაიცვა თავისი წოდება, თითქოს შეიძლება ცოტა დაისვენოს, მაგრამ მსოფლიო ჩემპიონს ვინ დაასვენებს! ერთმანეთს ცვლიან ოლიმპიადები, ჩემპიონატები, მატჩები, ტურნირები, ისევ მატჩები და ტურნირები. საჭადრაკო ცხოვრება ხომ დუღს და გადმოდუღს. ყველაფერი იცვლება, ყველაფერი მოძრაობს და ამ მოძრაობის სათავეში მსოფლიოს ოთხგზის ჩემპიონია — მაია ჩიბურდანიძე, რომელმაც ნამდვილად ასახელა საბჭოთა ჭადრაკი.

**გივი გამრეკელი**

# ადამიანი საქმით ფასობს

სოფიკო უშვერიძე



**ჯაჭვის ხიდიდან ქუთაისს რომ გასცდებით, რაჭა-ლეჩხუმის გზაზე ფერხულში ჩაბმული სვანებივით ჩამწკრივებული მთაგორების ჩრდილში, მდინარე რიონის პირას გაშლილი სოფელი ოფურჩხეთი შემოგიმასპინძლდებათ.**

**ოფურჩხეთი მაინცა და მაინც არაფრით არ გამოირჩევა სხვა სოფლებისაგან, არც თავისი ისტორიული წარსულით, არც აქაურ მცხოვრებთა განსაკუთრებული ცხოვრების წესით, მაგრამ მას თავისი პეწი და ლაზათი მაინც გააჩნია, თუ გნებავთ, ბუნებრივი მდებარეობით, ჩაის პლანტაციებითა და ნალდი, იმერული მასპინძლობით.**

**ამბობენ დიდმა აკაკიმ რაჭა-ლეჩხუმში რომ იმოგზაურა, პირველად აქ შეისვენა და**

ეროვნული ბიბლიოთეკა

დიდად გაიხარა ამ სოფლის სანახებითა და გულითადი შეხვედრებითაო. ამბობენ, თურემ საგანგებოდ ეს არავის აღუნიშნავს, ისე, სხვათა შორის ჩაინიშნეს მხლებლებმა, რადგან ამ ისტორიულ მოგზაურობაში უპირველესი და მთავარი ადგილი რაჭასა და ლეჩხუმს ეჭირა, ხოლო ოფურჩხეთი ვილას გაახსენდებოდა, როცა აქედან, რომ იტყვიან, სულ რაღაც ორიოდე ნაბიჯზეა ეგრეთწოდებული „საზღვარა“, რომელიც ლეჩხუმსა და იმერეთს ერთმანეთისაგან გამოჰყოფს.

ოფურჩხეთი ადრე ქუთაისის რაიონში შედიოდა, ახლა კი წყალტუბოს ზონას ეკუთვნის. სოფელში ცოტ-ცოტა ყველაფერი მოდის. ლობიოცა და სიმინდიც, ყურძენიცა და ხილიც, მაგრამ წამყვანი დარგი მაინც მეჩაიეობაა. იმასაც ამბობენ. თავისი ხარისხით, გემოთი და სურნელებით აქაურ ჩაის საქართველოში მარტო ორპირის ჩაი თუ შეედრებაო.

ჩაი აქ საკოლმეურნეო ცხოვრების ჩამოყალიბებისთანავე გაშენდა. გურული აგრონომი გოგია ცინცაძე ხელმძღვანელობდა თურმე ამ სარისკო საქმეს. ძველებისაგან ახლაც გაიგონებთ აქ სიმღერით ნათქვამს: „სადაც კი იყო მგელი და ტურა, იქ გავაშენოთ, გოგია, ჩაის კულტურა“.

ერთი სიტყვით, ოფურჩხეთი კარგი სოფელია. ისე, როგორც შვილებს საკუთარი დედა ყველა ქალზე უკეთესი ჰგონია მთელ დუნიაზე, გამონაკლისად არც მე ჩავითვლები. ჩემი სოფელი ყველა სხვა სოფელზე უკეთესი და ლამაზი იმიტომ მეჩვენება, რომ სწორედ მისი სარკმლიდან შევხედე პირველად სამშობლოს, სწორედ აქედან ვარჩევ მრუდსა და მართალს, ბოროტსა და კეთილს, საძულველსა და საყვარელს, სინდისსა და ნამუსს.

ოფურჩხეთში შრომისმოყვარე და გულითადი ხალხი ცხოვრობს. უგულოსა და ზარმაც ადამიანს სათოფეზე არ გაიკარებენ. არა მარტო თვითონ, არამედ აქაური სიძეც, აქაური რძალიც, აქაურების ნათელმირონიც, პირველყოვლისა, შრომისმოყვარეობით და გულითადობით უნდა გამოირჩეოდეს. სწორედ ასეთია ამ სოფლის რძალი სოფიკო ზედაშიძე-უშვერიძე.

აი, რას ვკითხულობთ კოლმეურნეობის გამგეობის მიერ მოცემულ დახასიათებაში: „სოფიკო დავითის ასული უშვერიძე დაიბადა 1958 წელს თერჯოლის რაიონის სოფელ გოდოგანში. დაამთავრა იმავე სოფლის საშუალო სკოლა და მუშაობა დაიწყო კოლმეურნეობაში. 1978 წელს გათხოვდა სოფელ ოფურჩხეთში. ჩაება ამავე სოფლის კოლმეურნეობის საქმიანობაში, გაიპიროვნა 0,8 ჰექტარი ჩაის პლანტაცია. მეთერთმეტე ხუთწლედში მას გეგმით უნდა მოეკრიფა 35 ტონა ჩაის მწვანე ფოთოლი, ფაქტიურად მოკრიფა 40,6 ტონა. უნდა გამოეკვება 30 კილოგრამი აბრეშუმის მური და მიეღო 63 კილოგრამი ხარისხოვანი პარკი, ფაქტიურად მიიღო 93 კილოგრამი. გარდა ამისა, დაამზადა 3 ტონა სასილოსე მასა და 4,3 ტონა ხმელი თივა.

შარშან ნაყოფიერად იმუშავა. ოქტომბრისათვის 9800 კილოგრამი ჩაის ხარისხოვანი ფოთოლი ჰქონდა მოკრეფილი. სეზონის ბოლომდე დამატებით 2 ტონა ფოთოლი მოკრიფა. ჩააბარა 14,7 კილოგრამი აბრეშუმის პარკი, ნაცვლად გეგმიური 12 კილოგრამისა. იგი დაჯილდოებულია შრომის დიდების მესამე ხარისხის ორდენით. აქტიურად მონაწილეობს საზოგადოებრივ საქმიანობაში. არჩეულია წყალტუბოს სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს დეპუტატად. კოლმეურნეობის პარტიული ორგანიზაციის კრებამ ის შარშან კომუნისტური პარტიის წევრობის კანდიდატად მიიღო. ჰყავს ოჯახი — ქმარი და ორი შვილი. მეზობლებში და კოლმეურნეებში სარგებლობს კარგი ავტორიტეტით“...

სოფიკოს მოცლილს ერთი წუთითაც ვერ ნახავთ. დილაუთენია მიდის საკოლმეურნეო ფართობში. ახლა ზამთარია, მაგრამ საქმე არ ელევა. საზოგადოებრივ დავალებასაც სჭირდება მიხედვა, დეპუტატობაც ბევრს ავალებს. სოფლის ქუჩები ჩაბნელებული იყო, სასოფლო გზები — კეთილმოუწყობელი. დატრიალდა სოფიკო, ვინ არ შეაწუხა! განათების საქმე რომ მოაწესრიგა, გზების კეთილმოწყობაზე დაიწყო ზრუნვა. საზრუნავი და საფიქრალი სხვაც ბევრი აქვს. თუ გნებავთ, მეჩაიეებისათვის ცხელი სადილების პლანტაციებში მიტანა, სასმელი წყლის ფართობებში გაყვანა, მექანიზაციისათვის პლანტაციების მომზადება...

— რატომ გჭირდებათ მექანიზაციისათვის პლანტაციების მომზადება? ვეკითხები მას.

— მოგეხსენებათ, ჩვენი სოფელი მთაგორიანია, ბუნებრივია, ჩაის საკრეფ მანქანებს ვერ ვიყენებთ. დაგვრჩა ეგრეთ წოდებული მცირე მექანიზაციის გამოყენების შესაძლებლობა, მაგრამ აქაც ბევრ წინააღმდეგობას ვაწყდებით, ყველა ფართობზე არც მისი გამოყენებაა შესაძლებელი. საკრეფი მანქანები წამდაუწუმ გამოდის მწყობრიდან ბუჩქების არათანაბარი განვითარების გამო. იქ, ფართობში კი შემკეთებელი არა გვყავს. ამიტომ სეზონზე ხშირად გვირჩევნია ხელით ვკრიფოთ ჩაის ფოთოლი, არადა მექანიზებული კრეფის დავალებაც ხომ გვაქვს.

არ დავფარავ და პირდაპირ გეტყვით, მეჩაიეთა მორალური სტიმულირება მთლიანად უყურადღებოდ არის მიტოვებული. როგორ გავიხარეთ შარშან, 8 მარტს, ქალთა დღესასწაულზე კოლმეურნეობის კულტურის სახლში რომ შეგვკრიბეს და დაგვაჯილდოვეს, შეგვაქეს, მოგვეფერნენ. ასეთი დღეები ხშირად უნდა იყოს... გული გვწყდება, რომ სოფლის მშრომელთა კულტურულ გართობასა და საყოფაცხოვრებო მომსახურებაზე არ ფიქრობენ. ნაკლს თუ არ ამხელ, ისე საქმე არ გამოსწორდება, — დაასკვნა სოფიკომ. მოიბოდიშა, ცივა, მაგრამ ფართობში სამუშაოდ მაინც მივდივარო და საკოლმეურნეო მინდვრებს მიაშურა.

 დ. გედენიძე,
საქართველოს სსრ დამსახურებული ჟურნალისტი.

## ლირიკა

### ჭაღარა

რატომ უჩივი ვითომ სიბერეს,
როცა გულს თბილი გრძნობა აღელვებს,
თუ სიყვარული კვლავ ნათელს მოგვფენს,
აბა, მითხარი, რა დაგვაბერებს?

მეც მინდა იყო კვლავ ახალგაზრდა,
გულის კარები ჯერ არ ჩარაზო,
შენი მიჯნური გავხდე ანაზდად,
მეორე ყრმობა შემომთავაზო.

და სიბერის ჟამს ჩვენი გულები
ტრფობის შარბათით კვლავაც თვრებოდეს,
ჩემი სიცოცხლის ბოლო სასმისით
შენი სიცოცხლე ილოცებოდეს!

ცის ეტრატს გავხევ ჩემი კისკასით,
მთვარეს დავათრობ შენზედ ოცნებით,
რა ბედნიერად წავალთ იმ ქვეყნად,
თუ მიჯნურებად დავიხოცებით!..

დოდო ზარაგიშვილი

### დილა მთებში

როცა მთებზე საღამო წევს
და გვირილებს მშვიდად სძინავს,
ტყემლის ტოტზე ყვავილს არწევს
გაზაფხულის მშვიდი დილა.

შორით შუქს ჰფენს მთვარე ახოს,
კლდეზე რბიან ჩანჩქერები,
ქარებს დარჩათ სამოსახლოდ
მთები პაპის ნაფერები.

წნელს ვუმატებ აშლილ ღობეს;
გზად წინაპართ ფიქრი მხვდება,
სანთლად ნანთებ შინდის ტოტებს
მათი ლოცვა ალმოხდებათ...

მერი ციხელაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა



# მოდა





მხატვარ-მოდელიორები:
მანანა კუპრაშვილი და
ნანა ცქვიტაია

დალი ფიროსმანაშვილი

# სამყურაზე კაკალი



აქ რომ დასახლდნენ, ვისაც რამდენზე გაუწვდა ხედვა, იმდენი მიწა მოიზომა. ვისაც რამდენმა გაუძლო თვალი და გული, იმდენი მოხნა და დათესა. იყო ეგეთი დროც. მალე მოსახლეს მოსახლე მიემატა. გამრავლდნენ. სახნავ-სათესი კოლექტივს ჩააბარეს. მოზრდილი ბაღჩები და ვენახები კიდევ დაიტოვეს.

ცოტა ხანში კალოებს ნაკალოვრები დაარქვეს და ღობეები შესწიეს. მერე ზოგი გზამ წაიღო, ზოგიც სიზარმაცემ და ისევ შემოკვეცეს ადგილები.

მავანი ოჯახი გაიყო, მავანი გასახლდ-ჩამოსახლდა. სოფელი დიდი იყო და არაფერი შეტყობია.

ამ ბოლო დროს ყველას ერთად რა მოეპრიანა, თვითონაც ვერ გაიგეს. ისევ გასწიეს ღობეები და შემოიერთეს ძველი ნაფუძვრები. ნაკალოვრებსა და ხრიხლებში კაკლები ჩაყარეს. გადააბრუნეს და გადმოაბრუნეს მიწა. დაგვალულს წყალი მიუგდეს, ჭანჭრობს საწრეტი მისცეს. ისევ დაიდო ფასი ადგილმა.

რა ეზმანათ!.. უწინ მთელი სოფელი ორ-სამ მოსახლეს აკითხავდა ვარდის კონისთვის, ახლა ყველამ ერთიერთმანეთზე უკეთესი ვარდი და ყვავილი დარგო. იმათ ეზოებში შესვლას ინატრებ და გამოსვლა აღარ მოგინდება.

რა ბიჭი იყო სარდიონი სხვებს ჩამორჩებოდა! გარეთ ჩემი წილი უკვე ვიშრომეო და ახლა შინ დატრიალდა. დატრიალდა და ეგრე! თითო ხესა და ბუჩქს ლოლიავი დაუწყო. ფუტკარიც კი გაიჩინა.

ზაფხულში შინ მარტო დარჩა სარდიონი. ჯალაბი პატარა ხნით უცხო ჰაერზე გაგზავნა. თუმცა მარტო რა სახსენებელია, ათასი ბლარტი უფუთფუთებდა გულსა და გონებაში. განთიადიდან დაღამებამდე მამულში კუკუნებდა. მომიჯნავეებიც რომ ნაწლავებზე ფეხს იდგამდნენ... თავთავიანთი ბაღჩებიდან თუ გამოეძრახებოდნენ ზაქრო და ამირანი. კარში გასასვლელად და საქუჩილაოდ სად ეცალათ..

გადაგრილდა. გამოვიდა სარდიონიც. ცირცელის ბუჩქის ძირას მიწვა. ფუტკრების თვალთვალმა გაართო. ნაკალოურიდან რაღაცა ხმები გაიგონა. ჩუმად მივიდა ღობესთან. აი, სათვალთვალო და საცქერალი იქ დაუხვდა! სამი პატარა ბიჭი კაკლის ხეებს შესეოდა. ხვდებოდნენ, თავისას რომ არ კრეფდნენ და ჩურჩულით ირჯებოდნენ.

საქმე ახალი დაწყებული ჰქონდათ. სარდიონიც ჩაჯდა ღობესთან.

— უცხოებივით იქცევიან ეს მამაძაღლები! — გული მოუკვდა.

საკვირველი კი ის იყო, რომ არც ისე შორს დარჩენილიყო დრო, როცა შემოუღობავში, ოღონდ სახელდარქმეულში, სხვა არავინ არაფერს კრეფდა, არაფერს აფუჭებდა. დოიაანთ კალოებზე, უკვე კარგა დიდი ხნის წინათ რომ მოქცეულიყო სოფლის გარეთ, ბალახსაც არავინ სწყვეტდა. იმ მხრიდან მომავალი ქალებისთვის რომ გეკითხათ, ეგ ტროყ-ტროყი ჰინჭარი სად დაკრიფეთო, დოიაანთ კალოებს გაღმა ხევშიო, — გიპასუხებდნენ. არც ეჭვი შეეპარებოდა ვინმეს.

ანდა, მეზობლის ღობის ძირას ამოსულ ჩალამბარაზე რომ წასცდენოდა ხელი ბავშვსა და დედას თვალი მოეკრა, მანდ რას უცუცქიხარ, ჩვენს ღობეებთან ბალახი დაილიაო? — გასძახებდა და შვილს მთელ უბანზე მოსჭრიდა თავს.

ფიქრებმა იმდენი ხანი გაართო სარდიონი, ბიჭებმა ერთი ნაკრაულა კაკლის დაკრეფა მოასწრეს.

ადგა. გავიდა ქუჩაში. დაენახა.

— აბა, ერთი ეგ თქვენი ნაოფლარი აქ მოიტანეთო.

ბიჭებმა ერთი თალია გაქცევა სცადეს. სარდიონი იღიმებოდა. ამან აცდუნა, ყინჩადაც კი მოუახლოვდნენ.

სარდიონმა მშვიდად ჩამოართვა დანაკრეფი და მშვიდადვე ჰკითხა: ვისები ხართო.

რომლის მშობელიც უფრო ეცნაურა, თავზე ხელი გადაუსვა.

მეზობლები ვყოფილვართო, — და დედამისს გასძახა.

— ლელავ, სადგისი წამოიღე და გადმოდი.

ბიჭები მუჭის ტოლები გახდნენ.

— რაი გინდა, რაის სადგისი, — გამოჰკივლა ქალმა.

თუ სადგისი არა გაქვს, მახათიც გამოდგებაო.

გადაირია ქალი და გამწვანდნენ ბალღები.

სარდიონი წყნარად იდგა და თვალს არ აშორებდა პატარებს, თავი ქურდობისთვის რომ გაემეტებინათ.

აქოშინებული მოვარდა ლელა. თავშალში შუბლთან შეკრეჭილი თმა გამოსჩროდა. ერთ ხელში სადგისი ეჭირა, მეორეში — მახათი. ცალი თვალი ბალღებს გადაჰკრა, ცალი სარდიონს. ნაკრაულა არც შეუნიშნავს.

— მეზობელო, საქმე მიყავ, კაცისაგან ხელის გაწენგოიანება თაკილია, ქალი ხარ და მომეხმარე. ბიჭებმა სამურაბე კაკალი დამიკრიფეს; დამიჩხვლიტე ერთი, — სთხოვა სარდიონმა.

ქალი შეფიქრიანდა. ისევ გადახედა თვალგაშტერებულ ბავშვებს. ისევ ვერაფერი გაიგო.

— კაკლის მურაბა არ მიკეთებია. ეგ ხელობა არ ვიცი, — ერთი პირობა გაჯიუტება სცადა ლელამ.

რაკიღა კრეფა ისწავლეთ, მურაბის კეთებასაც უნდა მიეჩვიოთო. მიხვდა ქალი. თავისასაც და სხვისასაც გაჰკრა თითო მუჯლუგუნი და ლანძღვა დაუწყო.

— მოიხედე, ყვირილით საქმეს არ ეშველება. სოფელს ნუ ჰყრი, ბიჭები შერცხვებიანო.

ამ ნათქვამმა კიდევ ხომ მთლად გამოათაყვანა ქალი. დაჰყვა სარდიონის ნებას.

სარდიონმა მადლობა გადაუხადა.

კირწყალში მე თვითონ ჩავყრი, შენ არ გაგრჯიო. ამას მემრისს გასწავლი, ხარშვის წესებს კიდევ იქითა მემრისს. ოღონდ ბიჭებს უთხარ, მაგათ მარტო კრეფა არ დაიზარონო.

ქალმა უაზროდ დაიხედა წენგოსაგან დამწვარ ხელებზე. გაირეკა ბალღები და უხმოდ გაეცალა.

შემოდგომაც მოვიდა. ატყდა ქვების სროლა და კაკლის ტოტების ლაწალუწი. გამწარებულები გაჰკიოდნენ მეზობლები და ძლივს აფრთხობდნენ შემოსეულ ბიჭ-ბუჭებს, ცალკე რომ კაკალს აყრევინებდნენ და ცალკე ღორღით ავსებდნენ ბალჩებს.

ამირანსა და ზაქროს ყვირილისა და მუქარისაგან პირი გადაერთხათ.

— კაცო, სარდიონ, — აღარ მოუსვენა გულმა ამირანს, — შენსას რატომ არ ეტანებიან?

მჭადაში დავთვალე და ქურდს ხელი შევუკარიო.

— კარგი ერთი, თუ ღმერთი გწამს, რა გვეხუმრება. ჩვენ შემოღობილში გვიდგა და მაინც ვერ გავმახრებულვართ. შენსას, ღობის გარეთ ნამდგომიარეს, ზედ არავინ ეკარება. რა უხიმანდრე, ჩვენც გვასწავლე, — ლამის გაწყრა ზაქრო.

— არაფერი. თქვენც აშალეთ ღობეები და ხელს არავინ შეაწვდის, — თვალის კილოში ჭინკა ჩაისვა სარდიონმა.

ნართაული კი იგუმანეს, მაგრამ მიზეზი ისევ ვერ დაადგინეს. იხტიბარი მაინც არ გაიტეხეს და იმათაც ეშმაკურად შესცინეს სარდიონს.

## ბევრი შვილი ბევრი სიხარულია

# დიდი ოჯახი

ყოფილხართ ზესტაფონის რაიონის სოფელ ზედა საქარაში, კოპწია სახლებისა და სიმწვანეში ჩაფლულ კარმიდამოთა ლამაზ სავანეში? იმერელი ქალი და კაცი ღიმილს შემოგაგებებთ, სალამს ვერ დაასწრებ, სტუმარს შინ გეპატიჟებიან.

ამ სოფელში ცხოვრობს აბულაძეების დიდი ოჯახი, დიდიო ვამბობთ, რადგან მათ კერიაზე შვილმრავლობის ტრადიცია ადრიდანვე მოდის. ნაფუძარზე ათი და-ძმა გაიზარდა. გზადალოცვილებმა წალმართი გზით იარეს. მამა-პაპის კარმიდამოში უმცროსი ვაჟიშვილი ელდარი დამკვიდრდა.

ოცი წლის წინათ აბულაძეებისას სოფელ პირველი სვირიდან პატარძალი მოიყვანეს. ნეფე-დედოფალი მაშინ 19-19 წლისანი იყვნენ.

ნანი ჩხიკვაძემ საშუალო სასწავლებელი როგორც დაასრულა, სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტს მიაშურა, აგრონომი მინდა გავხდეო. გამოცდაზე წელგამართული მივიდა. სკოლაში წარჩინებით სწავლობდა და კონკ-



ეროვნული
ბიბლიოთეკა

ურსში გამარჯვებაც ეწადა. კონკურსი კონკურსია და ერთი ქულა დააკლდა. ოცნებააუხდენელი შინ უხალისოდ დაბრუნდა.

მაინცდამაინც უმაღლესი? ყველა ნასწავლი ხომ არ იქნება, — დაასკვნა ნანიმ, გულის სწორი იპოვა და ელდარ აბულაძეზე დაქორწინდა. ელდარს კეთილკაცური და დიდი მოსიყვარულე გული ჰქონდა. ორ ახალგაზრდას ოჯახის შექმნა ჩვეულებრივ მიწიერ სურვილად ექცა.

ელდარი მამისეული ოჯახის თავკაცი გახდა. პირნათელმა ნანიმ ჰერქვეშ პატარძლის შუქი და სიცოცხლე შემოიტანა, მხარში ამოუდგა მეუღლეს და ცხოვრების გრძელი გზის მძიმე ტვირთი საამო საზიდავი გახადა.

აბულაძეებისას კერა გაჩაღდა. დაირწა პირველი აკვანი. ფეხბედნიერი იყოს ბიჭიო და მამუკა დაარქვეს. ერთი წელიწადიც არ იყო გასული და პაატა შემოემატათ. პატარები წონაში გრამებს იმატებდნენ და ტონობით სიხარული შემოჰქონდათ ოჯახში. ვამბობთ ტონობით სიხარულიო და მართლაც ასე იყო. შემდეგ მანანა დაიბადა, მას მერაბი მოჰყვა, მერე — მზევინარი, მანუჩარი, მალხაზი, მარინე, ილია და ციალა.

ახლა ნანი და ელდარი 38-38 წლისანი არიან. ჯანღონით სავსენი და ბედნიერნი. ყოველ ცისმარე რიჟრაჟი მიიპარება მათი სახლის ფანჯრებში და ათი შვილის გახელილი ციმციმა თვალი ეგებება სვებედნიერ დედასა და მამას.

აბულაძეების ძველი სახლი ეზოში დგას მდუმარედ და განმარტოებით, დგას როგორც რელიკვია, წარსულ დროთა მოსაგონარი. ელიკო ბებიას ოთხი ობოლი დახვდა, სამი თავად მოიყვანა, სამიც შემდეგ შეეძინათ და ათი და-ძმა დაუყვედრებლად გამოურჩევლად ამ სახლში გაზარდა დიდებულმა დედამ და მოამაგემ. მეუღლე მოსე ცოლს ედგა მხარში და ხარობდნენ კარგი შვილების გაზრდითა და დაფრთიანებით.

ელდარის ოჯახმა მკვიდრად ნაგებ სახლში გადმოინაცვლა. როცა ახალ სახლს საძირკველი ჩაუყარეს, ოცზე მეტი მეზობელი მოვიდა, მრავალშვილიან ახალგაზრდა ოჯახს მიეშველნენ, დაეხმარნენ. კეთილმა ადამიანებმა ბედნიერი ჭერი, აბულაძეების ფუძე დალოცეს, აგურზე აგურს ამატებდნენ და თანდათან მაღლდებოდა ორსართულიანი სახლის კედლები. ნანიმ და ელდარმა პირველ სართულზე საძილე ოთახები მოაწყეს. გოგო-ბიჭებისათვის საწოლები მიჯრით ჩაარიგეს. სისუფთავე, დედის მზრუნველი ხელი იგრძნობა ყველგან და ყველაფერში. თვალში გეცემა, რომ მშობლების ძლიერი, თბილი გული მფარველობს შვილებს და მათ არ ცივათ, პური არ შიათ, ჭერიცა აქვთ და სასთუმალიც.

ბებია ელიკოსათვის ახლა შვილიშვილებია საზრუნავი. შვილსა და რძალს უდგას მხარში, ფუტკარივით ფუსფუსებს შვიდათეულ წელზე მეტი ხნის ღიმილმფენი, სახიერი, ჭარმაგი ქალი. ვრცელი ეზო ფრინველებით გადაპენტილა. ჰყავთ ძროხა, დეკეული, ჯულიან ვენახს, ხეხილის ბაღს, ბოსტანს. აქ ყველაფერს გამრჯე ადამიანთა მადლიანი ხელი ეტყობა. ბებიას აბრეშუმის პარკიც მოჰყავს და სახელმწიფოს აბარებს.

ახალწლის წინა ღამეა. წითლად ვარვარებს ღუმელი. შეშას გაუდის ტკაცანი. ცეროდენა ციალა აკვანში წევს. თვალხატულებს მშვიდად სძინავთ. სასტუმრო ოთახში ნამცხვრებით და გოზინაყით აუვსიათ სუფრა, საათის ისრები თორმეტს უსწორდება. ელიკომ, ელდარმა და ნანიმ დალოცეს ჭერი, სათითაოდ ეამბორნენ თვალისჩინებს. ასეა ყოველ ახალ წელს!

გვირაბმშენის მონტიორი ელდარ აბულაძე, ხელმარჯვე, საქმის მუყაითი კაცი უყვარს თავის კოლექტივს. პატივით, ღირსებით იხსენიებენ დიდი ოჯახის ახალგაზრდა თავკაცს, მზრუნველ მამას, ყოველ საღამოს ხელდატვირთული შინისკენ რომ მიიჩქარის.

თენდება. დედა და ბავშვები სასწავლებელში მიაბიჯებენ. მანუჩარი და მალხაზი ჯერ

## სოფელი ასეთებს ელის



ნელი გვარაძე

არსებობენ ადამიანები, რომლებიც პრობლემების ჯადოსნურ წრეს ჰქმნიან თავიანთ გარშემო და მერე ამ პრობლემების გადაჭრის ცდაში არიან.

მაგრამ გვხვდებიან ისეთი ადამიანებიც, რომლებიც პრობლემების გარეშე, მარტივად წყვეტენ საკითხებს. აი, ასეთი კატეგორიის ადამიანებს მიეკუთვნება ნელი გვარაძე.

1970 წელს წარჩინებით დაამთავრა თბილისის 123-ე საშუალო სკოლა. ბეჯითი მოსწავლე იყო და მისთვის პრობლემა არ გამხდარა „კარგი ატესტატის“ აღება.

ექიმის პროფესიაზე ოცნებობდა. იცოდა, სამედიცინო ინსტიტუტში იოლად ვერ მოხვდებოდა, ამიტომ იმ საგნებს, რომლებიც მისაღებ გამოცდებზე უნდა ჩაებარებინა, განსაკუთრებულად ღრმად და ძირფესვიანად სწავლობდა.

მართალია, მისაღებ გამოცდებზე იოლად არ წერდნენ მაღალ ნიშნებს, მაგრამ არც არავის დაუკარგავს მისთვის ცოდნა. საჭირო ქულები დააგროვა და პირველსავე წელს ჩაირიცხა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის სამკურნალო ფაკულტეტზე.

კარგ სტუდენტად ითვლებოდა.

ინსტიტუტს რომ ამთავრებდა, ოჯახში ბჭობა დაიწყეს იმის თაობაზე, რომ ნელი როგორმე თბილისში დაეტოვებინათ სამუშაოდ.

— მე უკვე განაწილებული ვარ — მშვიდად განუცხადა ერთ საღამოს შინაურებს.

— განაწილებული? სად, გოგო — ერთდროულად ჰკითხეს მშობლებმა.

— მთიან რაჭაში, უწერის სანატორიუმში!

შეიცხადეს, შენი იქ წასვლა როგორ შეიძლება, ძალიან გაგიჭირდებაო.

— რატომ ვითომ? ბინას მომცემენ, ჰაერი კარგია, წყალი — გადასარევი. არ მომშივდება და არ შემცივდება. რატომ გამიჭირდება?

— ეჰ, შენ ჯერ ბავშვი ხარ და ყველაფერი ლამაზად გეხატება. იმ მივარდნილ სოფელში გაგიჭირდება, მაშ რა იქნებაო — დაუწყეს შეგო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

18474

საბავშვო ბაღის აღსაზრდელები არიან. ბავშვები კეთილები და შრომისმოყვარენი იზრდებიან. მამუკა უკვე 17 წლისაა და ძმასავით უდგას ელდარს მხარში, ასევეა მომდევნო პაატაც. უფროსები დედ-მამას შველიან უმცროსების აღზრდაში. საქმის სიყვარული ასწავლეს მშობლებმა შვილებს. მრავალშვილიან ოჯახს საზრუნავს რა გამოულევს! დაგეგმილი აქვთ ყოველი წვრილმანი ჩუმად და უხმაუროდ შეასრულონ. დღენიადაგ ტრიალებს მათი ცხოვრების ჯარა. რძალ-დედამთილი ტკბილად შეეწყვნენ ერთმანეთს. ელიკო ამბობს: რძალს როგორ არ ამოვუდგები მხარში, მეც ხომ მრავალშვილიანი დედა ვარო.

დედა საათს უცქერის — მანანა, შვილო, ციალას მიმიხედე. ჭამის დრო არ გადასცილდეს. ნანის არცერთი შვილის დღის განრიგი არ ავიწყდება.

მერაბი, მანანა და მზევინარი 12, 13, 15 სექტემბერს არიან დაბადებულნი. ამ სამ შვილს მშობლები ერთად უხდიან დაბადების დღეს სექტემბერში, მალხაზს, ილიასა და ციალას კი — იანვარში. პატარების ზეიმია დიდ ოჯახში.

დედის უმეთვალყურეოდ შვილებს ერთი დღეც არ უთენებიათ. ცხოვრების გზაზე, შვილების აღზრდაში დედამ ბევრი გაჭირვება ნახა და ღამეებიც ათია, მაგრამ არ დაცემულა, არ ჩაუმუხლავს, რადგან ტკბილია განცდა დედა-შვილობის.

მრავალშვილიანმა დედამ მთავრობის ჯილდოები: შრომის დიდების პირველი, მეორე, მესამე ხარისხის ორდენები და მედლები დაიმსახურა. რაიონის ხელმძღვანელობა ყურადღებას არ აკლებს აბულაძეებს. ისინი იღებენ ფულად დახმარებასაც.

ამას წინათ ელდარს მსუბუქი მანქანა ურიგოდ მისცეს. ახლა ჟიგულში ვერ ვთავსდებითო, ეღიმება მამას.

რაისაბჭოს აღმასკომთან არსებული საოჯახო პრობლემების სექტორი კარგად მუშაობს. ინსტრუქტორი მარინა იჩქიტიძე აბულაძეების ხშირი სტუმარია. მეათე შვილი რომ გაუჩნდათ, სარეცხი მანქანა მისცეს უსასყიდლოდ, სამშობიარო სახლში კი ახალშობილთა დედების საზეიმო გაცილება ტრადიციად იქცა.

ქალაქის ცენტრს ხუთი კილომეტრი აშორებთ. აქვთ სასოფლო კლუბი, ბიბლიოთეკა, სადაც ბავშვები ხშირად მიდიან. სახლში კი წიგნებს უსხედან და მეცადინეობენ. მანანამ მძლეოსნობაში პირველი ადგილი დაიკავა რაიონში.

უბნის ექიმი გალია კოსტიურინა, ზედა საქარლების რძალი, ოთხი წელიწადია რაც ამ სოფლის მკვიდრია. იგი აბულაძეების ხშირი სტუმარი, მათი შვილების მკურნალი გახდა. ყოფილა შემთხვევა, შუაღამით ბავშვისათვის სიცხეს აუწევია და ელდარი შიშნარევი თვალებით გალია ექიმთან გაჩენილა. ის კი უყოყმანოდ ავადმყოფ ბავშვს მფარველ ანგელოზად მოვლენია.

სამშობიარო სახლის მთავარი ექიმი ციალა აბაშიძე, რაიონის მეანგინეკოლოგი კოტე ზარნაძე, აფთიაქის გამგე ვახტანგ ქავთარაძე მრავალშვილიან ოჯახებს, გმირ დედებს ყურადღებას არ აკლებენ.

რვა მარტს, ქალთა საერთაშორისო დღეს ნანი აბულაძე თეატრში მიიწვიეს. მრავალშვილიანი ახალგაზრდა დედა ტრიბუნაზე იდგა და დარბაზში მსხდომ ქალებს მოუწოდებდა — ოჯახში აკვანი რომ არ ირწეოდეს, აბა რა შინაარსი ექნება ჩვენს ცხოვრებას! დედა უძილობასაც ადვილად იტანს და დაქანცულობასაც, ფხიზლობს დღითაც და ღამითაც. გავმრავლდეთ, ვზარდოთ შვილები, ძვირფასო დედებო!

ტრიბუნიდან ნანი ტაშით გააცილეს.

ღამეა. ფანჯრებიდან მკრთალი შუქი გამოკრთის: ქათქათა საწოლებში მშვიდად სძინავთ პატარებს, მშობლის იმედებს, ტონობით სიხარულით რომ აავსეს სახლი.

გვიმრავლოს აბულაძეების სადარი დიდი და თბილი კერია!

ეთერ ჯაფარიძე

# რძალი

ნება. — ესეც არ იყოს, შენი მომავლისთვის თბილისში დარჩენა სჯობია და ამ საქმეს როგორმე მოგიგვარებთო.

— ეხლა უკვე გვიანია. მე ხელი მოვაწერე თანხმობაზე, კვლავ მშვიდად განაცხადა ნელიმ.

...და წავიდა თბილისელი გოგონა რაჭაში სამუშაოდ.

ასე, რომ სამუშაოზე მოწყობაც პრობლემად არ გაუხდია; მაგრამ შინაურები კვლავ იმას ცდილობდნენ, რაც შეიძლება მალე გადმოეყვანათ ქალიშვილი თბილისში სამუშაოდ, თორემ „უცნაური გოგოა და იქაურობას თუ შეეჩვია, შეიძლება სამიოთხი წელიც კი იქ დარჩესო“. წარმოიდგინეთ რა მეხი გავარდებოდა გვარაძეების ოჯახში, როცა გაიგეს ნელის გადაწყვეტილება უწერელ ვაჟზე გათხოვილიყო.

ამაზეა ნათქვამი, ქალის ჭკუა თხამ ბარდზე მიაჭამაო. ბეღურას ბუმბულში აწვენდნენ და ფუჩეჩ-ფუჩეჩ გაიძახოდაო — თქვეს მშობლებმა, როცა დარწმუნდნენ, რომ ნელის ამ გადაწყვეტილებას თვით მამა-ღმერთიც ვეღარ შეაცვლევინებდა.

და გახდა ახალგაზრდა ექიმი, ნელი გვარაძე უწერელი მეტრეველების რძალი.

— ექიმი რძალი სახლში რომ შემოგივა, იცოცხლე კარგია, მაგრამ სოფელში საცხოვრებლად ივარგებს ქალაქში დაბადებული და ქალაქურად გაზრდილი ქალი? თეთრი ხალათისა და სამსახურის გარდა სოფელში ძროხაა მოსავლელი, გასადენი, ყველია ამოსაყვანი, კარაქია შესადღვები, ქათამ-წიწილა და ღორები გასაზრდელი. ის კი არა, და, თუ კაცები შინ არ არიან, ქალმა შეშაც ქვე უნდა დაჩეხოს, ბალახიც ქვე უნდა გათიბოს, თოხიც ქვე უნდა აიღოს, აპა, მერე და შეძლებს? აქაურ ქალებს ეზარებათ ამ საქმეების კეთება და ქალაქელი ქალი რას გაგვიკეთებს? მეტი არ არის ჩემი მტერი! აშკარად გამოსთქვამდნენ აზრს მეზობლის ქალები.

გაინტერესებთ, რა მოხდა შემდეგ?

ნელი გვარაძე დღეს ისევ უწერაში ცხოვრობს და ისევ სანატორიუმში მუშაობს, განყოფილების გამგე და მთავარი ექიმის მოადგილეა სამკურნალო დარგში, ზრდის სამ შვილს, ყოველდღიურ საოჯახო საქმესაც შესანიშნავად უძღვება და არც სამსახურში აგვიანდება.

სოფელში ცხოვრება და შრომა იოლიაო რომ ვთქვათ, არ ვიქნებით მართალი, არც არავინ დამიჯერებს, მაგრამ იმას კი ვიტყვით, რომ ნელი გვარაძე ერთი წუთითაც არ ნანობს, რომ თბილისში არ ცხოვრობს, იგი ძალიანაც კმაყოფილია თავისი ბედით. თუ როგორი ექიმია ნელი, ამაზე ის ფაქტი მეტყველებს, რომ სანატორიუმის დამსვენებლები ცდილობენ როგორმე ნელი გვარაძესთან იმკურნალონ.

სად არის ბედნიერება? როგორ მოვიპოვოთ იგი?

ნელი გვარაძის მოსაზრება ამ საკითხზე ასეთია: ადამიანები გართულებული ცხოვრების გალაქტიკაში ტელესკოპებით არ უნდა ეძებდნენ თავიანთ ბედნიერებას, ის იქაა, სადაც შენ ხარ, ოღონდ დანახვა უნდა. რაც უნდა ახლოს იყოს იგი შენთან, ბედნიერებამდე ვერ მიხვალ მარტოოდენ ოცნებით და განცხრომით. ის თვითონ მოვა შენთან შენივე მუყაითი გარჯით და შრომით გაკვალული გზა-ბილიკებით.

უწერელი მეტრეველები ახლა ამაყობენ კიდეც: ჩვენ რომ რძალი გვყავს, ამისთანა ბარე ბევრს ენატრებაო.

ვ. ჩეკურიშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

## სფრაფეშია: დაჩქარება, გარდაქმნა

# სილამაზის მსახური



ლუიზა გუდაძე

...უნდა განვახორციელოთ გადამწყვეტი ღონისძიებანი, რათა აღმოიფხვრას მკვეთრი დისპროპორცია მომსახურებაზე მოთხოვნასა და მის გაწევას შორის. უწინარეს ყოვლისა, მომსახურებაზე, რომელიც დაკავშირებულია საოჯახო შრომის შემსუბუქებასთან, ბინების კეთილმოწყობასა და რემონტთან, ტურიზმთან, ავტომომსახურებასთან, რაზედაც მოთხოვნილება განსაკუთრებით სწრაფად იზრდება...

მ. ს გორბაჩოვი

მოსკოვში, სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენას რომ ვათვალიერებდი, საქართველოს პავილიონში, სერვისის წარჩინებულ მუშაკთა ფოტოსტენდზე ჩემი ყურადღება რუსთაველი მკერავის ლუიზა გუდაძის სურათმა მიიპყრო. იქვე წარწერა იუწყებოდა, რომ მას არც თუ დიდი ხნის წინათ მიუღია ხალხთა მეგობრობის ორდენი, რომ ეს დიდი ჯილდო დაუმსახურებია პროფესიათა შორის გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებაში პირველი ადგილის დაკავებისათვის, მეტალურგთა ქალაქის მცხოვრებლების სანიმუშო მომსახურებისათვის და კიდევ რისთვისღა არ ხვდომია წილად.

გავიდა ხანი. ლუიზას ცხოვრებაში ერთი საინტერესო ფურცელიც გადაიშალა, თანამოქალაქეებმა — მეტალურგებმა, ქიმიკოსებმა, მშენებლებმა მას, როგორც სათნო და ზრდილ ქალს, ორი შვილის დედას, წარმოების ნოვატორსა და გულისხმიერ დამრიგებელს ნდობა გამოუცხადეს და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატად აირჩიეს...

უმაღლესი საბჭოს დეპუტატი! არასდროს უფიქრია ამაზე. მისი ოცნება და სურვილი მუდამ ის იყო, რომ კარგად დაუფლებოდა კერვის ხელოვნებას და ლამაზი კაბა-კოსტუმებით მოეგო კლიენტთა გულები.

ახლა სრულიად სხვა ამოცანები დადგა ლუიზა გუდაძის წინაშე. საქალაქო საბჭოს აღმასკომში მიიწვიეს და შესთავაზეს — აი, აქ იქნება თქვენი სამუშაო ოთახი, აქ მიიღებთ ამომრჩევლებსო...

პირველ დღეებში მაინცდამაინც დიდად არავის შეუწუხებია დეპუტატი. მაგრამ მას შემდეგ, რაც ის საქალაქო თათბირზე გამოვიდა და ერთი-ორი მკაცრი სიტყვა უთხრა ზოგიერთ ხელმძღვანელს, დეპუტატის ოთახში იმატა მომსვლელთა რიცხვმა. ზოგმა რა საკითხი დაუყენა და ზოგმა რა: რატომ არა გვაქვს ქალაქში წყალიო, რატომ არის, რომ ასე ცუდად მუშაობს საქალაქო ტრანსპორტიო, რატომ ვერ უწყობს ფეხს ინდუსტრიის მაჯისცემას ჩვენი საყოფაცხოვრებო სამსახურიო.

დეპუტატი თავის უბის წიგნაკში ინიშნავდა ყოველივე ამას და შემდეგ სათანადო ინსტანციებში სვამდა საკითხებს, იქვე იძლეოდა თავის წინადადებებს და რეკომენდაციებსაც. და თუ დღეს მოგვარდა რუსთავის მცხოვრებთა წყლით მომარაგება, ანდა გაუმჯობესდა პურის ხარისხი, გამშვენდა გალამაზდა ქუჩები, პროსპექტები, პარკები და გაზონები, ამაში დიდია დეპუტატ ლუიზა გუდაძის წვლილი.

და, მაინც, დეპუტატი და მოქალაქე ვერა და ვერ ურიგდებოდა იმ სამსახურის ჩამორჩენას, რომელშიც უშუალოდ თვითონ უხდება მუშაობა. აქ ის ნამდვილად რომ თავის თანამოქალაქეთა ინტერესებიდან გამოდის და მოსვენებას არ აძლევს ყველა იმას, ვისაც პირდაპირი თუ არაპირდაპირი დამოკიდებულება აქვს ქალაქის სერვისთან. მაგალითად, დღემდე ვერ შერიგებია, რომ ქალაქის თავკაცებმა სამუშაო ფართი შეუმცირეს საყოფაცხოვრებო მომსახურების სახლ „მზიურში“ მომუშავეთ და ის სხვა ორგანიზაციას გადასცეს, რომ უკანასკნელ წლებში ქალაქში არ სრულდება საყოფაცხოვრებო მომსახურების სახელმწიფო გეგმები. ლუიზა მოურიდებლად აცხადებს: ეს იმის შედეგია, რომ ჩვენთან არ იგრძნობა გარდაქმნა და დაჩქარება, სამმართველოს ადმინისტრაციას, პარტიულ და კომკავშირულ ორგანიზაციებს ჯერ კიდევ არ გამოუტანიათ სათანადო დასკვნები პარტიის XXVII ყრილობის გადაწყვეტილებებიდან, სუსტია კონტროლი სერვისის ცალკეულ ობიექტებზე დროისა და მასალების უყაირათო ხარჯვისადმი, ირღვევა შრომის დისციპლინა, სერიოზულად არავინ ზრუნავს საკადრო პოლიტიკაზე.

მას, როგორც დეპუტატს, ისიც აღელვებს, რომ ზემდგომმა ორგანოებმა გადაწყვიტეს, მაგრამ მაინც ვერ მოგვარდა ქალაქის მსხვილ საწარმოებში საყოფაცხოვრებო მომსახურების გაუმჯობესების საკითხი. მხოლოდ მეტალურგიულ ქარხანასა და გაერთიანება „აზოტში“ არის გახსნილი საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტები, ხოლო დიდი საწარმოს — გაერთიანება „ქიმბოჭკოს“, ქარხანა „ცენტროლიტის“, ცემენტის ქარხნის მუშა-მოსამსახურეები მოკლებულნი არიან კეთილ სამსახურს.

დეპუტატი პლენუმებზე თუ კონფერენციებზე, თათბირებზე თუ აქტივის კრებებზე, ყოველ თავის გამოსვლაში მოურიდებლად აკრიტიკებს იმათ, ვისაც ბრალი მიუძღვის სერვისის ჩამორჩენაში.

— აბა როგორ არა ვთქვა, — ამბობს ლუიზა გუდაძე, — რომ ბოლო წლებში ქალაქში თითქმის არაფერი გაკეთებულა ქსელის გაფართოებისა და მისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცებისათვის. განა ნორმალურია, რომ საყოფაცხოვრებო მომსახურებას ობიექტების გასახსნელად უკანასკნელ ხანს საჭირო რაოდენობის ფართი არ გადასცემია საბინაო ფონდიდან? ხომ სწერია შავით თეთრზე, რომ ზემდგომი ორგანოების გადაწყვეტილებით 0,4 პროცენტი ამ ფონდიდან სერვისის გაფართოებას ეკუთვნის! ანდა, რატომ უნდა იყოს დარჩენილი უმომსახურებოდ ქალაქის

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზოგიერთი მიკრორაიონი?

— ბოლოს ერთი კარგი საქმეც გაკეთდა, —გვეუბნება ლუიზა, — მიღებულია ქალაქის მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების განვითარების საგანგებო დადგენილება, რომელშიც გათვალისწინებულია თითქმის ყველა საჭირბოროტო საკითხი. მაგრამ, სამწუხაროდ, გაბედული ნაბიჯი ჯერ არ გადადგმულა.

როცა ლუიზას ეტყვიან — მეტი ხომ არ მოგდის შენი კრიტიკული შენიშვნებით, ასე უპასუხებს ხოლმე: მანამდე ვილაპარაკებ, ვიდრე საქმე არ გამოსწორდებაო. დეპუტატისა და მოქალაქის ეს პოზიცია სწორია, მაშასადამე, საჭიროა მოქმედება, ზრუნვა, ფიქრი და გარჯა.

— რა გვესაჭიროება ჩვენ, რომ მშრომელმა კაცმა მადლობით მოიხსენიოს ჩვენს მიერ შეთავაზებული სერვისი? სვამს კითხვას ლუიზა და იქვე განმარტავს: პარტიის XXVII ყრილობამ დასახა ქვეყანაში საყოფაცხოვრებო მომსახურების განვითარების ვრცელი პროგრამა. 2000 წლისათვის მაგალითად, ერთიორად უნდა გაიზარდოს საყოფაცხოვრებო მომსახურების მოცულობა. ამას მხოლოდ მაშინ მივაღწევთ, თუ ყველანი ერთად ვიზრუნებთ გარდაქმნისათვის, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებული დანერგვისათვის.

რა დასამალია, რომ მომსახურების სისტემეში ჯერ კიდევ არიან მუშაკები, რომლებიც კვლავ ძველი ყაიდით აგრძელებენ ცხოვრებას და ანგარიშს არ უწევენ იმას, რომ იმით აფერხებენ ჩვენს შემდგომ წინსვლას. ასეთი ადამიანების მიმართ ლუიზა ყოველთვის ულმობელი იყო და არის. ჯერ კიდევ სამიოდე წლის წინათ, როცა მისმა ერთ-ერთმა კოლეგამ, თბილისელმა მკერავმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატმა ლეილა ცარციძემ წინადადებით მიმართა დარგის ყველა მუშაკს — სრული სახელმწიფოებრივი წესრიგის დასამყარებლად. ლუიზა გუდაძემ მოითხოვა მკაცრად დაესაჯათ მის გვერდით მომუშავე ის უღირსი მუშაკები, რომლებიც კლიენტის მოტყუებით, უხარისხო პროდუქციით, ზედმეტი გასამრჯელოს გამოძალვით ჩირქს სცხებდნენ სერვისის მოწინავეთა საპატიო სახელს.

აი მისი ერთ-ერთი გამონათქვამი რესპუბლიკურ თათბირზე: „ჩვენ გვაკისრია უაღრესად საპატიო და ჰუმანური მოვალეობა — შევუქმნათ ადამიანებს საუკეთესო გუნებაგანწყობილება; როგორ ვართმევთ თავს ამ მისიას? ვინ და რა გვიშლის ხელს? დასანანია, რომ ჯერ კიდევ ისე ვერ გარდავქმენით ჩვენი საქმიანობა, რომ საქებარი სიტყვები მეტი ისმოდეს, რომ თითოეული მომსვლელი კმაყოფილი ტოვებდეს მაღაზიას, ატელიეს, აბანოს, საპარიკმახეროს, ქიმწმენდისა და თეთრეულის რეცხვის საამქროებს, გამქირავებელ და მიმღებ პუნქტებს“...

რუსთავის სერვისში არსებული ნაკლოვანებები, რომლის დასაძლევადაც ასე ენერგიულად იღვწის ლუიზა გუდაძე, მეტ-ნაკლებად ჩვენი რესპუბლიკის სხვა რეგიონებსაც აქვთ, მაგრამ ისე არ უნდა გავიგოთ, თითქოს ქართველ მესერვისეებს წარმატებები არ გააჩნდეთ. მინდა მკითხველი გულდასმით ჩაუკვირდეს აქ მოყვანილ ციფრებს: 1986 წელს რესპუბლიკის მოსახლეობას 185 მილიონი მანეთის მომსახურება გაეწია, რაც თითოეულ მცხოვრებზე საშუალოდ 87 მანეთს აღწევს. ეს ოდენობა ბევრად მეტია საშუალო საკავშირო მაჩვენებელზე, რაც ჩვენი მესერვისეების დიდ ღვაწლად უნდა მივიჩნიოთ, ნაკლი კი, როგორც ლუიზა გუდაძე ამბობს ხოლმე, შანთით უნდა ამოვწვათ.

ზურაბ მერკვილაძე,
ჟურნალ „პირიმზის“ მთავარი რედაქტორი.

# იუმორი

## ალსასრული

— უკვე შეატყობინეთ რესტორნის დირექტორს ჩემი მოსვლა? — ჰკითხა რევიზორმა ოფიციანტს.

— როგორ არა, მაგრამ ის ნახევარ საათში დაბრუნდება.

— სად წავიდა?

— ცოლშვილთან გამოსამშვიდობებლად.

## ხელმრუდობა

პირდაპირ საოცარია! — უსაყვედურა დამკვეთმა თერძს, — თქვენ მე კოსტუმის შეკერვაზე უარი მითხარით იმ მიზეზით, თითქოსდა ჩემი მოტანილი ქსოვილის ნაჭერი საკმარისი არ ყოფილიყოს. მაგრამ თქვენმა მეზობელმა ხელოსანმა იმ ნაჭრისაგან, ჩემი კოსტუმის გარდა, თავის პატარა ვაჟიშვილსაც კი შეუკერა ჟილეტი. მაშ თქვენთვის რატომღა იყო ცოტა?

იმიტომ რომ მე ტყუპი ბიჭი მყავს, — მიუგო თერძმა.

## დასასვენებელ სახლში

დირექტორი: აქ თავს ისე იგრძნობთ, როგორც საკუთარ სახლში.

დამსვენებელი: რას ამბობთ? მე აქ დასასვენებლად ჩამოვედი!

## შურისძიება

— თუ იცით, მანქანა ვინც მოგპარათ, რატომ არ ამხელთ?

—ფერი მაინცდამაინც არ მომწონს და ველოდები, როდის შეღებავს!

## ტაქსში

მგზავრი: — ხურდას რატომ არ მიბრუნებთ?

მძღოლი: მძღოლთან ფულის დახურდავება სასტიკად აკრძალულია.

## ანგარება

ვწუხვარ, მაგრამ სამეცადინოდ ვერ მიგიღებთ, თქვენ საერთოდ ხმა არ გაგაჩნიათ. — უთხრა მუსიკის მასწავლებელმა ქალიშვილს.

სამწუხაროდ, ასეა, მაგრამ მზად ვარ ძალიან ვიბეჯითო და ყოველ გაკვეთილში ორმაგად გადავიხადო ფული.

— გაიმეორეთ, გეთაყვა, თქვენი ხმა ახლა გაცილებით უკეთ აჟღერდა.

## აღზრდა

დედა პატიმარი ვაჟიშვილის სანახავად მივიდა:

— აი რას ნიშნავს, დედას რომ არ დაუჯერებ! რამდენჯერ გითხარი, კვალის დასაფარავად ხელთათმანებით უნდა იმუშაო მეთქი!

## მძარცველები

ორი ქურდი უცხო ბინას ძარცვავდა. უცებ სირენის გამკივანი ხმა გაისმა.

— პოლიციაა! გადახტი სწრაფად ფანჯრიდან! — უთხრა ერთმა მეორეს.

— რას ამბობ, მეცამეტე სართულიდან?!

გადახტი, გადახტი, ახლა ცრუმორწმუნეობის დრო არ არის!

## თვალთმაქცობა

— კათხას რატომ ბოლომდე არ მივსებთ?!

— მომიტევეთ, თვალს მაკლია.

— თუ ასეა, მაშინ ზოგჯერ თავზეც უნდა გადმოადინოთ...

— თქვენ რა, მთლად ბრმა ხომ არ გგონივართ?!

## გამოძალვა

— ახლა დავრწმუნდი, ბატონო ოფიციანტო, რომ დრო ნამდვილად ფულია! — უთხრა კლიენტმა.

— რას გულისხმობთ?

— დანახარჯის ანგარიშისათვის დღევანდელი რიცხვიც მიგიმატებიათ.

გაზეთ „ნოიეს ლეგენიდან“

თარგმნა შ. ამირანაშვილმა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნაზი კილასონია

# ჭაღარის სიმღერა

ნარკვევი



ციალა ქუქჩიშვილი

თოვს...

თოვს...

თოვს...

თოვლი მახსენებს მაშინდელს, ორიოდე წლის წინანდელ ზამთარს: მესხეთს, ასპინძას...

მოყინულ გზაზე ორნი მივდივართ: მე და ციალა. მივუყვებით მტკვრის მარჯვენა ნაპირს. თავს დაგვდგომიან კლდენი მაღალნი. საცაა ჩამობინდდება და ვიცი უფრო მაღალნი, უფრო გრანდიოზულნი გახდებიან მათი ასვეტებული სილუეტები, ცას შეებჯინებიან თითქმის, ცის წილნი გახდებიან. ზაფხულშიც მინახავს ისინი, მესხეთის მთვარით გაბრწყინებულნი, და თითქმის ხმამაღლა წამიხმიანებია დიდი გალაკტიონის ლექსი: „მთვარის ნაამბობიდან“.

„რუსთაველი მახსოვს ბავშვი“.

თითქოს ფიქრს მიმიხვდაო, ციალა წამით ჩერდება და დაბეჯითებით მიმეორებს ყოველი მესხის მრწამსს:

— ჰო, ჰო, ეს რუსთაველის მხარეა, მშობელი მხარე. აი, საყვარელო, გაზაფხულზე ამოდი და პატარშენში წაგიყვან... პატარშენში რატომა და იმიტომ, რომ იგია შოთას სოფელი. რუსთაველი რომ დაიბადა, მამამისი სახნავ-სათესის დასახედად იყო წასული. იქ მიახარეს, ვაჟი შეგეძინაო. მერე მამა ადრე გარდაიცვალა. დაობლდა შოთა, ბიძამ გაუწია მამობა... აქ შეუყვარდა ნინო... აქ შემოიარა თამარ დედოფალმა, რომ ყველასგან ქებული ჭაბუკი შოთა ენახა და ვარძიაში წაეყვანა. მერე? მერე აკი გაგზავნა კიდეც საბერძნეთში... ატირდა ნინო, მაგრამ ყმაწვილმა შოთამ ლექსით ანუგეშა.

— ნინომ ვაშლი ამოიღო
გადმომიგდო უბიდგანა,
ჩემნაირად გაუფრთხილდი,
არ გადმიგდო გულიდანა“...

დიახ, ციალას ასე სჯერა, ასე სჯერათ და სჯეროდეთ მესხებს...

თოვს... თოვლი ხრაშუნობს ფეხქვეშ. გაყინულ ხელებს უბეში ვიმალავთ.

— წამო, რა გაჩვენო?

ცოტა ხნის მერე ჩერდება. დაბლა იხრება და მითითებს:

— აი, აქ გაგორდა კოხტა ბელადის თავი! ხო გახსოვს ასპინძის ომი.

— ის ადგილი ხომ დღევანდელი პარკის ტერიტორიაა? — ვეწინააღმდეგები მე — აქ კი შორია.

— არა, საყვარელო, ბრძოლა ბრძოლაა. მაგრამ ერეკლე ხომ ცხენდაცხენ გამოქანდა? აქამდე იქროლა და ცხენდაცხენ შეება, შეება და თავიც წააცალა.

ასე ხწამს ჩემს თანამგზავრს, უბრალო, ჩვეულებრივ ქალს, გზაზე რომ შემთხვევით გავიცან...

ასპინძის მკვიდრია. ასპინძამდე კი... ამას მერე გიამბობო და გულითადად მეპატიჟება შინ.

პატარა, დაღმართიან ეზოში მივყვები. გათოშილი ხეხილნარი ითქვამს სულს საგაზაფხულოდ. საკმაოდ მოზრდილი, ერთსართულიანი ქვითკირის შენობაა.

— იცი, ჩემს კაცს მე თვითონ ვშველოდი, კარგი მუშასავით. ქვასაც ვაწოდებდი, ცემენტსაც ვურევდი, ხის მასალაშიც ვეხმარებოდი...

მთელი ღამე ღუმელთან ვისხედით. ვუბნობდით ამ მთისას, იმ ბარისას. მიამბო, რომ ხიზაბავრაში დაიბადა, ბავშვობა ვარძიის მიდამოებში — ბერთაყანაში გაატარა. მამინაცვალი სოფლის ბავშვებს ასწავლიდა წერა-კითხვას. — ბინა ფარდით ჰქონდა გაყოფილი, ფარდის იქით ოჯახი, ფარდის აქეთ ტახტზე ჩამომსხდარი პატარები, ქართულ ანისა და ბანის გალობით. მერე კვლავ ხიზაბავრა. დიდებული, მოხუცი მესხი ქალები. მათზე ხბოსავით ადევნებული პატარა გოგონა.

— რას არ მიამბობდნენ, მესხეთის ჭირვარამს თვალწინ მიშლიდნენ. ეს აკლებაო, ეს ოსმალოს შემოსევაო, ეს დარბევაო... თან დავდევდი მინდვრად, სამკურნალო ბალახების შეგროვებაში ვეხმარებოდი. ჰო, ყველაფერი მათგან ვისწავლე, შენ ჭკვიანი ბავშვი ხარ და ყველაფერს დაიხსომებო.

გოგონამ მაშინ არ იცოდა, რომ მემკვიდრეობად გადმოდიოდა მასზე ჩვენი დიდებული ქალების წამალთმცოდნეობა, რომ ხმიანდებოდა, იხსენებოდა ბალახის იდუმალი ენა და სალბუნობა! ეს კი დაიხსომა სამუდამოდ: იცნო მატიტელა: მარილებისა და წნევის წამალი; ვირისტერფა: გულისა და ჰაერის უკმარობის საშუალება; ღვია, გველისთავა, ფითრი, ნეგო, უკვდავა, ათასფურცელა (ღვიძლისათვის, კუჭისთვის) მწარე აბზინდა, ანდა ჯავარის ბალახი, მაისის ბოლოს ან ივნისის ნახევარში რომ იკრიფება; კლდის დუმა, ძირმაგარას რომ უხსნის პირს, სარო ბალახი — დაუღეღილობას რომ არჩენს... ჭინჭარი, წიწილებს რომ სწრაფად ზრდის მისი ნახარში. და კიდევ ბევრი სხვა რამ, — ანდა ნეგო, სურნელოვანიც და უსუნოც, ჩაისავით რომ უნდა მოადუღო მისი ორი სამი ტოტი...

მერე იწყება ქება მესხური სუფრისა, კერძებისა. ქება ბატისა და ღორის ქონისა, ატრია-თათარბორაკისა, ჩაშუშული ხიზაბავრული ხინკლისა და ქადისა. ნივრიან დოში ჩაწყობილი ცომეულისა. ბატის შაშხისა, კორკოტის ფლავისა, ხორცის წვნიანში ჩაწყობილი გათლილი, მთელ-მთელი კარტოფილისა, მახოხისა და ხარშოსი, ჰო, მართლა კიდევ ბიშისა, ერისტასი, ბუშტულასი და კიდევ მრავალი სხვისა. „ხიზაბავრულია, ხიზაბავრულია!“ იმეორებს ეს 50-ს მიტანებული, ჯერ კიდევ ახალგაზრდული ქალი — ციალა ქუქჩიშვილი. ასპინძის კინო-თეატრში რომ მუშაობს. ენერგიული დიასახლისი, ერთი ქალიშვილისა და 2 ვაჟის დედა. სწავლას დაწაფებული სტუდენტებისა:

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ზურიკოი?... ლეოი?... ირაი?... იმეორებს ხშირად.

რაც მართალია, მართალია, სამთავ კარგნი, იციან „ვისი გორისანი არიან“...

ცეცხლი ჩანავლდა. ისევ უმატებენ, მით უმეტეს, რომ ოთახში ახლობელ-ნათესავნი შემოდიან, ზამთრის გრძელი ღამის მოსაკლავად...

ძილის წინ კიდევ ერთი სურპრიზი მელის: ამ სახლში წიგნი უყვართ, წიგნს აღმერთებენ. კარადა ხომ კარადაა, მაგრამ ტანსაცმლის კარადაც წიგნებითაა სავსე, ტახტიც, ფანჯრის რაფებიც. აი, ზურაბი ამოვა, ლეოც და ახალ თაროებს გამორანდავენ. მერე დედა დატრიალდება და საოჯახო ფურნიდან ახალ, სურნელოვან მაღალ პურს გამოიღებს.

— კაცო, ვასო, — გასძახის ხმამაღლა მეუღლეს, — ბავშვების ჰიგიენურ აღზრდაზე რომ წიგნია, ვერ მიპოვია.

ბატონი ვასილი დერეფნიდან ამოდის და ერთი იღლია შეშა შემოაქვს.

„ციალა, — ვეკითხები, — ნუთუ ყველა წიგნი გაქვს წაკითხული?“

ყველა წაკითხული აქვს და თავისებურ მოსაზრებებს გამოთქვამს. თუ მინდა ავირჩევ, მაჩუქებს კიდეც. ნუ გერიდებაო მეუბნება, ზოგი ორ-ორი მაქვსო. ახპინძაში რა წიგნიც არ უნდა მოვიდეს, თავს მოვიკლავ და ვიშოვიო...

თოვს.

გაქათქათებულ საწოლში ვწევართ. თავთით გერმის ბალიში გვიძევს. გერმასაც ბატი გვაძლევსო, უცოდინარივით მიხსნის. კარგი ქონებაა ბატი, შაშხი, ქონი, გერმა. ნოემბერში ვკლავთ, რომ ახალი წლისათვის ბატის ხინკალი გვქონდესო. ვკვირდები. რას ამბობო. მეკამათება. ბატის ქონს ერბოს ვეძახდით, ქადიანებს და გულიანებს ვაცხობდით, მარილში გამხმარ ბატებს (შაშხს) ძვლიანად ვჭრით და ხინკლად ვახვევთ. ბევრ წყალში კი არა — ცოტა წყალში ვშუშავთ. „ეს ხიზაბავრულია, ხიზაბავრაში ასე იცოდნენ“ მიმეორებს ციალა და თითქოს სკივრსა ხსნის, სადაც მესხური საგანძური ძევს. სხვა არ ვიცი, აქ კი — ქუქჩიშვილების ოჯახში მესხური ყოფა და ჩვეულება ბატონობს. საბედნიეროდ, საბედნიეროდ! „იცი სასიძოს როგორ სინჯავდნენ? კუნძს მიუგდებდნენ და თუ კარგად დაჩეხდა, მაშ ოჯახისთვისაც ივარგებდა“. ქალს როგორღა ამოწმებდნენ? — ვეკითხები ეშმაკურად. „ქალს, საყვარელო, თეფშს გაარეცხვინებდნენ, თუ გადმოაბრუნებდა და მეორე მხარესაც გარეცხავდა, მაშ ის ქალიც ივარგებდა საოჯახოდ...“

თოვს ახლაც, ალბათ ციალა უკვე დაბრუნდა კინოდან. ალბათ ციალა ცეცხლთან, ან გაზქურასთან ტრიალებს, ალბათ მერე მეუღლეს უხმობს: „კაცო, ვასო, სარო ბალახი ამომიტანე, მანდ არის თავხეში. აქამდე როგორ არ ისწავლე რომელი რომელია?“.

თოვს ბარაქიანად. და სარკმლიდან ლანდად მოჩანან ცამდე ასვეტილი კლდენი მესხეთისა...

ყველაფერი ადამიანისათვის

# ახალგაზრდა დედათა კლუბი

სკკპ XXVII ყრილობის საპატიო ტრიბუნიდან ითქვა: „ოჯახის მრავალი პრობლემის გადაჭრის წინამძღვარია ქალთა შრომისა და ყოფის ისეთი პირობების შექმნა, რომლებიც საშუალებას მისცემს მათ წარმატებით შეუხამონ დედობა შრომითს და საზოგადოებრივ საქმიანობაში აქტიურ მონაწილეობას“.

ამ მოწოდების ნათელი დადასტურებაა ხელვაჩაურის რაიონის სოფელ ჭარნალში „ახალგაზრდა დედათა“ კლუბის გახსნა. კლუბის გახსნის უშუალო ინიციატორის, პარტიის ხელვაჩაურის რაიკომის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგის მერი ზოიძის წინადადება კლუბის შექმნის თაობაზე ერთხმად მიიღო და მოიწონა რაიონის ხელმძღვანელობამ. ჭარნალი ხელვაჩაურის რაიონის ერთ-ერთი ყველაზე დიდი სოფელია, რომელიც რაიონული ცენტრიდან საკმაოდ მოშორებით მდებარეობს, სამასამდე კომლს ითვლის. იქ მრავალშვილიანობითა და პატიოსანი შრომით ბევრი ოჯახი იწონებს თავს. მათ შორის არიან კლუბის საპატიო წევრები ულფეთ დუმბაძე და ეთერ ფუტკარაძე.

კლუბის ენთუზიასტი თავმჯდომარე ნაირა ჯაყელი ენერგიულად და გონივრულად უძღვება თავის მოვალეობას. ახალბედა, გამოუცდელი დედები „ახალგაზრდა დედათა“ კლუბში ეუფლებიან საოჯახო საქმიანობას, ბავშვის მოვლა-პატრონობას, სწავლობენ კერძების მომზადებას, იღებენ სამედიცინო რჩევებს.

პერიოდულად მოწვეული ლექტორები ახალშექმნილ ოჯახებს (დედებსაც და მამებსაც), უტარებენ ლექცია-საუბრებს მათთვის საინტერესო საკითხებზე. ერთ წლამდე ბავშვის მოვლა-პატრონობა; როგორ მოვამზადოთ მცირეწლოვანი ბავშვი სკოლისათვის; დედათა და ბავშვთა უფლებების დაცვა სსრ კავშირში, მშრომელთა როლი არასრულწლოვანთა დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში; ქალის როლი ალკოჰოლისა და სამართალდარღვევების წინააღმდეგ ბრძოლაში; გამოცდილი დიასახლისების რჩევები ახალგაზრდა დედებს; შეხვედრა მრავალშვილიან დედებთან — აი ეს საკითხებია კლუბის მუშაობის პერსპექტიულ გეგმაში.

დაუვიწყარი იქნება ჭარნალელებისათვის კლუბის პირველი ღონისძიება. ამ დღეს ახალგაზრდა დედებთან სტუმრად მოვიდა აჭარის ასსრ დამსახურებული ექიმი ეთერ ბარამიძე, რომელმაც საინტერესოდ ისაუბრა ჩვილ ბავშვთა მოვლის, ბავშვთა კვების, ბავშვთა დაავადებების და მათი პროფილაქტიკის შესახებ, გულდასმით გასინჯა პატარა პაციენტები, სათანადო რჩევა-დარიგება მისცა დედებს, პასუხი გასცა მათს შეკითხვებს. ქალბატონი ეთერი ჭარნალელებს ხშირ სტუმრობას დაჰპირდა.

საქმიანი ნაწილის შემდეგ გაიმართა ცეკვა, შეჯიბრება-თამაში: „ვინ უკეთ“.

ახალგაზრდები ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ სიმღერაში, მხატვრულ კითხვაში, ცეკვაში, „ბავშვის“ გახვევაში, სამედიცინო დახმარების სწრაფად აღმოჩენაში, ჰალსტუხის სწორად გამონასკვაში, ტორტის მორთვაში და სხვა საოჯახო საქმიანობაში. იმ დღეს მრავალმა ახალგაზრდამ გვიჩვენა თავისი უნარი. გამარჯვებულები კოლმეურნეობის პროფკავშირულმა კომიტეტმა ფასიანი საჩუქრებით დააჯილდოვა.

ბევრი თბილი და გულშიჩამწვდომი სიტყვა უთხრეს ცხოვრების გზის დასაწყისთან მდგომ ახალბედებს ცხოვრების სიბრძნეს ნაზიარებმა მრავალშვილიანმა დედებმა, რაიონისა და სოფლის ლავკაცებმა.

„ახალგაზრდა დედათა“ კლუბის დევიზია: ყველაფერი ადამიანის საკეთილდღეოდ, მისი ხალისიანი განწყობილების შესაქმნელად. დღეს დიდი სიკეთე სუფევს განახლებულ აჭარაში.

ნანული ბუკია

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ვეხმაურებით დაბეჭდილ წერილს

# ვის დავუტოვოთ ბავშვი?



„როცა შვილები პატარები გვყავდნენ, მაშინ რომ ასეთი ბაღი ყოფილიყო, ხომ გვეშველებოდა?" — მითხრა მეუღლემ და „საქართველოს ქალის" მეექვსე ნომერი (1986 წ.) მომაწოდა, სადაც გამოქვეყნებულია „იზვესტიის" საკუთარი კორესპონდენტის ე. ვოსტრუხოვის სტატია „საბავშვო ბაღი ოჯახში".

საწარმოო გაერთიანება „რიგას ექსპრესის" მესვეურებს შესანიშნავი ინიციატივა გამოუჩენიათ; ოჯახებში შესდგომიან საბავშვო ბაღების ორგანიზაციას, ნებაყოფლობის საფუძველზე შეურჩევიათ ძიძა-აღმზრდელები, აღსაზრდელები; სტატიაში მოტანილია ავტორიტეტული მოქალაქეების აზრი, რომლებიც ახალ წამოწყებას იწონებენ და ხაზს უსვამენ ამ წამოწყების სარგებლიანობას ორივე მხარისათვის — აღმზრდელისა და აღსაზრდელისათვის.

პრესიდან ჩვენთვის ცნობილია, რომ მსგავსი საბავშვო ბაღები კარგა ხანია მეტად შედეგიანად მოქმედებენ ჩეხოსლოვაკიასა და უნგრეთში. თავის დროზე უნგრელებმა ბებიას ძეგლი დაუდგეს, როგორც სამშობლოს მომავალი თაობის ერთგულ აღმზრდელს, მაგრამ, ეტყობა, მხოლოდ ბებიის ღვაწლი საკმარისი აღარ აღმოჩნდა და ოჯახებში საბავშვო ბაღების გახსნა სახელმწიფოებრივ საქმედ იქცა.

რა მდგომარეობაა ამ თვალსაზრისით ჩვენთან? სამწუხაროდ, არცთუ სასურველი. თბილისში სახელმწიფო ბაგა-ბაღები ძალიან გადატვირთულია, არასაკმარისია ისინი ქალაქებსა და რაიონებშიც. შექმნილი ვითარებით ისარგებლეს ფულისმოყვარულმა, გამჭრიახმა ადამიანებმა და საოჯახო ბაღები გახსნეს, თუმცა, ძირითადად, „არალეგალურ საწყისებზე"... დაფარულსა და მიჩუმათებულში შეუძლებელია ბოროტებამ არ დაისადგუროს. ბევრ საოჯახო საბავშვო ბაღში, როგორც წესი, მიზანი ბავშვის აღზრდა კი არ არის, არამედ სარფა, მოხვეჭა. როგორც ზოგიერთი ექიმი იქმნის ყალბ ავტორიტეტს, ავადმყოფებს იზიდავს და ფულს აკეთებს, ასევე ზოგიერთი მოხერხებული პედაგოგი, მეტადრე უცხო ენების მცოდნე, იკეთებს რეკლამას, შინ იბარებს ბავშვებს, „ასწავლის ენებს", „აჩვევს საზოგადოებაში თავდაჭერას". „ზრდის არისტოკრატებს". მეტი რა უნდათ მოდას აყოლილ, ფუფუნებაში მყოფ მშობლებს! არის ერთი გაწამაწია და შეჯიბრი, ოღონდ ბავშვი „საკვირველად აღიზარდოს" და ჰონორარის რაოდენობაზე არც ლაპარაკობენ. ჩვენი ღრმა რწმენით, ასეთ ბაღში შვილების აღზრდას სასურველი შედეგი არ მოჰყვება. უფრო მეტიც, მოზარდთათვის განსაკუთრებულობისა და უპირატესობის გრძნობის ჩანერგვა თვით საბჭოთა წეს-წყობილების არსს ეწინააღმდეგება. ამრიგად საოჯახო ბაღების გახსნა მეტად საფრთხილო საქმეა. არადა, ნამდვილად საჭიროა, ვინაიდან ეს საკითხი მეტნაკლებად ყველა ოჯახს აწუხებს. სასურველია, „საქართველოს ქალმა" თავის ფურცლებზე სათანადო მსჯელობა მოაწყოს სწორი საზოგადოებრივი აზრის შესამუშავებლად. ერთი რამ ცხადია, საკითხი მომწიფებულია და საჭიროა რაც შეიძლება მალე დადებითად გადაწყდეს. გავითვალისწინოთ რიგის ექსპერიმენტი, სხვა ქვეყნების გამოცდილება და ჩვენთანაც გადავდგათ პრაქტიკული ნაბიჯი. უდავოა, კარგად ორგანიზებული საოჯახო ბაღი მშობლებს შვებას მისცემს. ისინი უფრო გულიანადაც იშრომებენ და გარკვეულწილად შრომის ნაყოფიერებაც გაიზრდება. რაც მთავარია, მათი შვილის ცოდნის საწყისების ათვისებასა და ხასიათის სწორად ჩამოყალიბებაში უანგარო, მცოდნე, გამოცდილი პედაგოგი-აღმზრდელი დიდ როლს შეასრულებს. მითუმეტეს, თუ საოჯახო ბაღში აღსაზრდელთა რაოდენობა ხუთზე მეტი არ იქნება. ბუნებრივია მათი აღზრდა და კვება მეცნიერულ საფუძველზე წარიმართება. ასეთ ბაღში მოცალეობის მიხედვით კვირაში ერთხელ მშობლებიც იმორიგევებენ. ოჯახები ბავშვებთან ერთად წავლენ ღირსშესანიშნავი ადგილების სანახავად, ექსკურსიებზე, თეატრში, კინოში და ა. შ. ბავშვების მეოხებით მოზრდილებიც დამეგობრდებიან, საკუთარ შვილებთან ერთად მიზნობრივად და საქმიანად გაატარებენ თავისუფალ დროს.

ამ წამოწყებით პენსიონერ პედაგოგებსაც მიეცემათ საშუალება თავიანთი საყვარელი საქმე საკუთარ ოჯახში გააგრძელონ. მართლაცდა, რა ბედნიერებაა, სანამ პირში სული გიდგას, ერს ღირსეულ ცვლას, მომავალ თაობას უზრდიდე, ფეხს ადგმევინებდე, ცხოვრებაში გამოგყავდეს; ბედნიერებაა, რომ მათ მთელი სიცოცხლე კეთილმოსაგონრად დარჩებათ პირველი მასწავლებელ-აღმზრდელის სახე, ოჯახი.

ბუნებრივია, ახალ წამოწყებას სპეციალისტები უნდა ჩაუდგნენ სათავეში, შეისწავლონ პირობები, აღმზრდელთა და აღსაზრდელთა ინდივიდუალური თვისებები. აუცილებელია შრომის საფასური ყველასათვის ხელმისაწვდომი იყოს. ბავშვებმა ენებიც უნდა ისწავლონ და ზრდილობის ანბანიც, ოღონდ ამ წმინდა საქმიდან ყოველგვარი ანგარება, ფორმალიზმი და ბიუროკრატიზმი უნდა გამოირიცხოს. ყველგან და აქაც უშრომელ შემოსავალს ალალი, პატიოსანი გარჯით მიღებული ანაზღაურება უნდა დავუპირისპიროთ.

რაც შეეხება დახმარების მომლოდინე ახალგაზრდა მშობლებს, ისინი საკმაოდ არიან და თუ ერთი მთავარი მიზეზი — „ვის დავუტოვოთ ბავშვი!" მოისპობა, სამი და მეტი შვილის გაჩენაზეც იფიქრებენ...

ლევან ფრუიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ველით თქვენს პასუხს—როგორ დავამყაროთ სისუფთავე თბილისის ქუჩებში

# ქალია ის თუ კაცი...



მე რევოლუციის ქარცეცხლში გამოვლილ სახელოვან ფილიპე მახარაძის ქუჩაზე ვცხოვრობ. ლამაზია ჩემი ქუჩა. ამ ქუჩის ორივე მხარეს ვილაცის მადლიან ხელს აკაციის, ცაცხვისა და ჭადრის ხეები დაურგავს. გაზაფხულზე, როგორც კი კიროვის ქუჩას ამოუხვევთ, აკაციისა და ცაცხვის ყვავილების საამო სუნი გაგაბრუებთ. მიყვარს ჩემი ქუჩა, აქ დაგდებული ქვაც კი მიყვარს. აქ გაიარა ჩემმა ბავშვობამ. აქ შემეპარა ჭაღარა. მინდა დავიჯერო, ვინც ამ ქუჩაზე ცხოვრობს, ყველას უყვარს ეს ადგილი, ეს კუთხე, ყველა უფრთხილდება და პატივს სცემს ამ ქუჩის სახელს.

მახსოვს, მეეზოვე ძია აბაზა (გვარი არ მაგონდება, მაპატიებს კეთილი კაცი), დილის ცისკარზე გამოვიდოდა, ჯერ იქაურობას სარწყავით მორწყავდა, მერე ისე სუფთად დაგვიდა ქუჩას და ეზოებს, რომ კარგ დიასახლისსაც შეშურდებოდა. ყველა პატივს სცემდა მის შრომას. არამც თუ უფროსები, ონავარი ბავშვებიც კი ვერიდებოდით აბაზას და ნაგლეჯ ქაღალდსაც არ ვაგდებდით ქუჩაში.

ახლა დილის რვაზე, ცხრის ნახევარზე გამობრძანდება ჩვენი მეეზოვე და მტვრის ისეთ კორიანტელს დააყენებს, სკოლაში მიმავალი პატარები პირზე ხელს იფარებენ და კისრისტეხით გარბიან. ამ მტვერს კი ისრუტავს მოზარდის ნაზი ფილტვები. არამც თუ ჩვენს ქუჩაზე, რუსთაველის პროსპექტზეც, სადაც უამრავი სტუმარი დადის, დღისით, მზისით, მეეზოვე ისე შემოგაყრის მტვერს სახეზე, რომ ბოდიშსაც არ მოგიხდის.

საინტერესოა, კალინინის რაისაბჭოს აღმასკომის მესვეურნი ნუთუ ერთხელ მაინც არ წააწყდნენ ამ სავალალო ფაქტს, ნუთუ არ შეიძლება შეუძინონ მეეზოვეებს ქუჩის სარწყავი? იგი განა ადამიანის ჯანმრთელობაზე ძვირი ღირს?

თუმც ყველაფერს რაისაბჭოს აღმასკომს ვერ დავაბრალებთ. ჩვენც ვცოდავთ ხშირად. დღეში სამჯერ მოდის ჩვენს ქუჩაზე სანაგვე მანქანა. პირველად დილის შვიდ საათზე შემოგრიალდება მამედა...

— ქალებოო, ლამაზებოო, ნაგავი მოვიდაა, — ღიღინებს იგი ხმადაბლა, მიძინებული სახლები უცბად გამოფხიზლდება.

— თამარ, როზა, ლორა, ნაგავია, — გადავძახებთ ერთმანეთს და დილის ხალათებში გავრბივართ სანაგვე მანქანისაკენ.

№ 11 სახლის წინ, ჭადრის ძირთან დახვავებულ ნაგავს ნიჩბით იღებს მამედა. შუბლზე ოფლი წურწურით ჩამოსდის, მერე ცოტა ხანს შეისვენებს. თეთრ კბილებს გამოაჩენს, № 11 სახლისკენ თითს გაიშვერს და ამბობს.

— ამ ზალლში ლამაზი ქალი არ ზხოვრობს. არ ვიცი, ლამაზ ქალში რას გულისხმობს მამედა, ვეკითხები.

— რატომ გგონია, მამედ?

— არა კასო, ლამაზი ქალი ზალლშიაც ლამაზია, ქუჩაშიც ლამაზია. ლამაზი ქალი ქუჩაში ნაგავი დალაროს? არა, ეს არ იკადროს.

მამედამ არ იცის, რომ ზოგიერთი მამაკაციც კადრულობს ამ უკადრის საქმეს. დაღამდება თუ არა, საკმაოდ წარმოსადეგი მამაკაცი № 13 სახლიდან ორ ვედრო ნაგავს გამოიტანს და სწორედ ამ ჭადრის ძირში დაყრის. უცბად ისეთი სუნი შემოიჭრება ოთახში, რაც უნდა ღრმა ძილში იყო, უსათუოდ ფეხზე წამოვარდები და ფანჯრებს დაკეტავ. მერე ღამის ორ საათამდე უმოწყალოდ იყრება ნაგავი ქუჩაში. ისმის ქილების მტვრევა, კონსერვის ყუთების რახუნი, კატების ჩხავილი.

ქალია ის თუ კაცი, რომელიც ამ სამარცხვინო საქმეს ჩადის? იქნებ რომელიმე სოლიდურ საწარმოში ან დაწესებულებაშიც მუშაობს! წარმოდგენილი მაქვს ქალაქის სისუფთავეზე და სიყვარულზე რომ ჩამოვარდება ლაპარაკი, სწორედ ისინი ქადაგად დაეცემიან და ყველაზე მეტს ილაპარაკებენ წესრიგზე და ქალაქის სიყვარულზე. სინამდვილეში კი თავის ქუჩას, თავის სახლს, თავის მეზობლებს არ სცემენ პატივს.

ამ წერილის თაობაზე შეიძლება რომელიმე მეზობელი გამინაწყენდეს, მაგრამ რა ვქნა, ჭკვიან კაცს უთქვამს: „სიმართლისათვის ამოთხრილი თვალი არ მეტკინებაო".

როგორ ფიქრობთ, მკითხველო, იმ ქალს ან კაცს, რომელიც ღამე ქურდულად მიიპარება და ნაგვის გორაკს დააყენებს ქუჩაში, უყვარს თავისი ქალაქი?

ამის პასუხს თქვენგან მოველით.

ოლია რევია

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საახალწლო ტკბილეული

საახალწლო მისვლა-მოსვლა, სტუმრიანობა და მილოცვები თითქმის მთელი იანვარი გრძელდება. მერედა, ამ თვეში სახელობის დღეებიც არის! ახე, რომ, როცა მოკეთე ან მეგობარი გეწვევათ, მოუმზადებელიც რომ იყოთ, შეგიძლიათ მასთან ერთად საუზარში გამოაცხოთ ჩვენი შემოთავაზებული ტკბილეული.

## ფენოვანი ტორტი შესქელებული რძით

2 კვერცხი ათქვიფეთ 1 ჩაის ჭიქა შაქარში, შეურიეთ 2 სუფრის კოვზი თაფლი, 1 ჭიქა გატარებული ნიგოზი, 2 ჭიქა ფქვილი, ნახევარი ჩაის კოვზი სოდა.

ცომი სამად გაყავით. ტორტის ყალიბში ჩააფინეთ ცხიმწასმული ქაღალდი და ზედ გააბრტყელეთ ცომის ერთი ნაწილი. (ხელი ცივ წყალში უნდა დაისველოთ). ასე გამოაცხვეთ სამი ფირფიტა.

1 ქილა წინასწარ მოხარშული შესქელებული რძე კოლოფიდან გადმოასხით, შეათქვიფეთ 100 გრამი კარაქი და 1 ჭიქა გატარებული ნიგოზი.

გამომცხვარ ფენებს წაუსვით ეს კრემი და ერთიმეორეზე მოათავსეთ. შემდეგ კრემი ზევითაც გადაუსვით და ნაპირებზეც. ბოლოს მორთეთ მოხალული ნიგვზის ლებნებით.

## შოკოლადის ტორტი

რვა კვერცხის ცილა ცალკე ათქვიფეთ. დაუმატეთ 3 ჩაის ჭიქა შაქარი და კვლავ თქვიფეთ. შემდეგ სათითაოდ შეათქვიფეთ კვერცხის გულები. 1 ჩაის ჭიქა ფქვილი კოვზით ნაზად ამოურიეთ, ჩაასხით კარაქწასმულ და ორცხობილამოყრილ ქაღალდიან ფორმაში და გამოაცხვეთ.

### შოკოლადის კრემი:

300 გრამი კარაქი კარგად აზილეთ. 1 ჭიქა შაქრის პუდრას შეურიეთ 50 გრამი კაკაოს ფხვნილი. მერე თანდათანობით დაასხით $1/2$ ჩაის ჭიქა მდუღარე რძე და თან კარგად ურიეთ, მიღებული მასა თანდათანობით შეურიეთ აზელილ კარაქში და კარგად ათქვიფეთ. ბისკვიტი მორთეთ სპეციალური მოსართავით. მას გვერდებზეც წაუსვით კრემი და შემოაყარეთ დაჭრილი მოხალული ნიგოზი.

## ხვეული კექსი

4 კვერცხის გული ათქვიფეთ $1/2$ ჭიქა შაქარში გათეთრებამდე. მერე თანდათანობით აურიეთ შიგ $1/2$ ჭიქა პურის ფქვილი, $1/2$ ჭიქა კარტოფილის ფქვილი და კარგად ათქვეფილი კვერცხის ცილა. მიღებული ცომი თანასწორ ფენად მოათავსეთ ერბოწასმულ და ოდნავ ფქვილმოყრილ ფურცელზე და შედგით საშუალო სიმხურვალის ღუმელში. როცა ცომი გავარდისფერდება და ყალიბს ადვილად მოცილდება გამოიღეთ ღუმელიდან, მოათავსეთ მაგიდაზე, სწრაფად წაუსვით ზედ ხილის პიურე და სანამ ცხელია, დაახვიეთ. ზემოდან მოაყარეთ შაქრის პუდრა და შედგით ღუმელში 1 წუთით.

## ნიგოზმოყრილი ნამცხვარი

2 მთლიანი კვერცხი და 1 კვერცხის ცილა კარგად ათქვიფეთ $1\ 1/2$ ჭიქა შაქრის ფხვნილში. აურიეთ $3/4$ ჩაის ჭიქა მაწონი, $1/2$ ჭიქა ერბო, სოდა, $1/2$ კოვზი დანაყილი ლიმონის კანი, ვანილი, შემდეგ ჩაყარეთ იმდენი ფქვილი, რომ საშუალო სისქის ნაზი ცომი გამოვიდეს. მოზელილი ცომი გადმოიღეთ ცხიმმოყრილ ფიცარზე, გააბრტყელეთ თითის სისქეზე, გამოჭერით სხვადასხვა სახეობად, დაალაგეთ ფქვილმოყრილ ფურცელზე, თითოეულს ზემოდან წაუსვით რძეში გახსნილი კვერცხის გული (1 კვერცხის გულზე 2 ჩ. კოვზი რძე), მოაყარეთ ძალიან წვრილად დაჭრილი ნიგოზი და შედგით გამოსაცხობად.

## კვერცხის ბეზე

4 კვერცხის ცილა ისე გათქვიფეთ, რომ სულ თეთრ ქაფად გადაიქცეს. თანდათანობით ჩაყარეთ შიგ 1 ჭიქა დანაყილი შაქრის ფხვნილი და ფრთხილად აურიეთ. ამოიღეთ კოვზით და დაალაგეთ პატარ-პატარა გუნდებად ქაღალდზე, რომელიც ფურცელზეა გაშლილი, შედგით ნელცეცხლიან ღუმელში დიდი ხნით, რომ კარგად შეშრეს.

## ვაშლის ბეზე

5 ცალი ვაშლი შეწვით, გახეხეთ სახეხზე, ჩაყარეთ შიგ 1 ჩაის ჭიქა შაქარი, ჩაასხით 1 კვერცხის ცილა და აურიეთ. შემდეგ კოვზით სათითაოდ მოათავსეთ ქაღალდდაფენილ ფურცელზე და შედგით ნელთბილ ღუმელში გამოსაცხობად.

ᲒᲐᲠᲔᲙᲐᲜᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚ ᲒᲕᲔᲠᲓᲖᲔ — ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝᲡ ᲝᲗᲮᲒᲖᲘᲡ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲘ ᲭᲐᲓᲠᲐᲙᲨᲘ ᲥᲐᲚᲗᲐ ᲨᲝᲠᲘᲡ ᲛᲐᲘᲐ ᲩᲘᲑᲣᲠᲓᲐᲜᲘᲫᲔ
Ვ. Გ Ე Ნ Ბ Ი Უ Რ Ი Ს ᲡᲚᲐᲘᲓᲘ, ᲛᲔᲝᲗᲮᲔᲖᲔ — ᲛᲔᲯᲚᲘᲡᲘ. Ჯ. Ლ Ო Მ Ა Ძ Ი Ს ᲡᲚᲐᲘᲓᲘ.


მთავარი რედაქტორი ᲛᲐᲠᲘᲙᲐ ᲑᲐᲠᲐᲗᲐᲨᲕᲘᲚᲘ
Главный редактор МАРИКА БАРАТАШВИЛИ

სარედაქციო კოლეგია: Ნ. ᲑᲣᲠᲑᲔᲜᲘᲫᲔ, Ლ. ᲙᲐᲙᲐᲑᲐᲫᲔ (პ. მგ. მდივანი) Ნ. ᲑᲐᲦᲠᲘᲜᲓᲐᲨᲕᲘᲚᲘ, Ზ. ᲙᲕᲐᲭᲐᲫᲔ, Ნ. ᲙᲘᲚᲐᲡᲝᲜᲘᲐ, Თ. ᲚᲐᲨᲥᲐᲠᲐᲨᲕᲘᲚᲘ, Ქ. ᲚᲝᲛᲗᲐᲗᲘᲫᲔ, Ნ. ᲥᲕᲐᲜᲘᲐ, Პ. ᲥᲚᲔᲜᲢᲘ, Ც. ᲢᲔᲠᲔᲚᲐᲫᲔ (მხატ. რედაქტორი), Ნ. ᲨᲐᲚᲣᲢᲐᲨᲕᲘᲚᲘ, Ლ. ᲨᲔᲜᲘᲠᲣᲚᲘ, Ნ. ᲯᲐᲕᲐᲮᲘᲨᲕᲘᲚᲘ.

ტექრედაქტორი Ნ. ᲑᲣᲙᲘᲐ

საქ. კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა

შრომის წითელი დროშის ორდენოსანი საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის ქ. № 14.
Ордена Трудового Красного Знамени типография издательства ЦК КП Грузии, 380096. Тбилиси, Ленина, 14.
Адрес редакции: 380096, Тбилиси, Ленина, 14.

რედაქციის მისამართი — ლენინის ქ. № 14. ტელეფონის №№ რედაქტორის — 99-98-71, პასუხისმგებელი მდივნის — 99-71-68, განყოფილებების: მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის 93-25-64 ლიტერატურისა და ხელოვნების 93-98-53, კულტურისა და ყოფაცხოვრების 93-98-50, მშრომელთა წერილებისა და მასობრივი მუშაობის 99-50-39, მხატვრული რედაქტორის — 93-98-57. ტექნიკური რედაქტორის 93-98-58. საერთო განყოფილების 93-98-54. გადაეცა ასაწყობად 5. 12. 86 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 15. 01. 87 წ. ქაღალდის ზომა $60 \times 90^{1}/_{3}$, ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 3. სააღრიცხვო საგამომცემლო თაბახი 5,8.
Условных печатных листов 3, учетно-издательских листов 5,8. ტირაჟი 145.000. შეკვ. 2815. უე 04008.



კიდევ ერთი ახალი წელ..... დ. იაკობაშვილის ფოტო.



ფასი 30 კაპ.

ინდექსი 76178